წელიწადი მეორე ფასი 5 კაპ. ხუთშაბათი 23 თიბათვე 1916 წ. № 139

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელ გვერდზე—10 კ., კარგვანის ზომით შიდა გვერდზე განცხადებანი... სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი
წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.
**უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.
**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

## იყიდება
## სახლები გორში და სიღნაღში
**გორის ერთსართულიანი სახლი** შესდგება შვიდი ოთახისაგან: სამზარეულო, თავლა და სარდაფი ქვევრებით, რომლებიც სულ ცემენტით არიან შეკედილნი, წყლით, ელექტრონით თავლა და ბაღით სულ ეზოთი 250 ოთხ. საჟენი მიწით.
**სიღნაღის ორსართულიანი სახლი** შესდგებიან თორმეტი ოთახისაგან, სამკუთხივ გალერეა, როტონდა, ორი სამზარეულო, ცალკე ოთახი ორი სარდაფით. მიწა ზომით 200 ოთხკ. საჟენი სხვა და სხვა ხეხილებით და დიდი კაკლით. ზეფხულობით ამ ეზოში როტონდით სდგას სიღნაღის ახალი კლუბი.
იკითხეთ: სიღნაღში დ. ფქვიაშვილთან (ნაფიცი ვექილი), დეკ. ტურაშვილთან. თბილისში „საქართველოს" რედაქციაში.
(2-242-1)

## ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი № 131, საზაფხულო შენობაში)
**ხუთშაბათს, 23 თიბათვეს, გაიმართება საგავშვო საღამო**
## სინემატოგრაფი და ბაღში
## დაუკრავს დუდუკი
დასაწყისი ბავშვების საღამოსი დღისით 4 საათი.
დასაწყისი სინემატოგრაფისა საღამოს 8 ნახ. საათზე.
სტუმრები საზოგადო წესით. (1-150-1)

## შეშის საწყობი
## ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
**ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასად**
## საკუთარი ტყიდან
**საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც**
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

## ვაგზლის სამკურნალოში
**(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)**
## სამკურნალოს ყველა ექიმებმა
## კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.
აგრეთვე ექიმი—ქალი **მარ. კონ. იოხელიანისა** მიიღებს დედათა სნეულებით ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.

## შრომისა და ბინის
## მძებნელ
## პირთა განცხადებანი
დაიბეჭდება მეოთხე გვერდზე
## ხელმისაწვდომ ფასად

ღვინის საწყობი
## ნიკო გ. სესიაშვილისა
იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი
## კახური ღვინო
**განოვის ქუჩა № 4.**
სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.
(185—წ.)

ქ. ოზურგეთი. **ახალი თეატრი** ქ. ოზურგეთი.
**ოთხშაბათს, 22 და ხუთშაბათს, 23 თიბათვეს,** გაიმართება პირველად ოზურგეთში ცნობილი დიდი **საჯარო ქართული**
## სიტყვა-მუსიკობა
**(ლექცია-კონცერტი) კ. ფოცხვერაშვილისა**
ამ სიტყვა-მუსიკობას დაესწრება გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდი და საგანგებოთ მოწვეული ეპარქიის სამღვდელოება, რომელმაც ლექციის მოსმენის შემდეგ სჯა-ბაასი უნდა იქონიოს ქართული გალობის ნოტებით ჩაწერაზე.
(2-148-2) **ბილეთები ამთავითვე იყიდება თეატრის კასაში.**

## სავაჭრო სახლი
## „ძმ. სესიევები და ამხ."
(ვაგზლის ქ. № 6)
ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ **პირველ ივნისიდან** ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება
## ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

## ვამზადებთ
**პირობით** ხელმისაწდომ ფასებში
## პრაპორშჩიკთა
## შკოლისათვის
მეცადინეობა დაიწყება 20 თიბათვიდან. პირადათ მოლაპარაკება საღამოს 6—7 საათამდე.
**მისამართი:** მოსკოვის ქუჩა, სახლი 24, ბინა 1. 25—128—5

**უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა**
ექიმი
## ა. დ. შაჰაბაზიანცი
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. სალ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა**
## ახალი აფთიაქი
**პროვიზორის ახვლედიანისა**

ექიმი
## მ. დ. წინამძღვრიშვილი
**ყ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტის სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

**დ. ზესტაფონში**
## ექიმი
## დ. კ. მაჭავარიანი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

ექიმი
## მ. ი. ვაჩნაძე
იღებს **ბავშვთა და შინაგან სნეულ.** ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—3)

**დოქტორი მედიცინისა**
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ** სნეულებიან ავადმყოფებს **თიბათვის**
15-დან **იღებს მანგლისში**
კორპუსის ბანაკში

**კბილის ექიმმა**
## მამულაიშვილმა
**(ხოდნევისამ)**
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

**ექიმი-დოსტაქარი**
## გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

## ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

## თბილისი, 23 თიბათვე

### მეურნეობის საჭიროებანი

ცნობილია, რომ ჩვენი ქვეყნის მიწად მოქმედება საარაკო მოვლენას წარმოადგენს დედამიწის ზურგზე. ევროპასა, ამერიკასა, აზიასა ან ავსტრალიაში ძნელად მოიძებნება ისეთი კუთხე, სადაც ასეთი დახავსებული და დროგადასული სამეურნეო ტეხნიკა არსებობდეს, როგორიც საქართველოშია გამეფებული. მხოლოდ აფრიკის ბარბაროსები თუ სდგანან ჩვენზე დაბლა. მართალია მეურნეობის ერთი დარგი, მევენახეობა, ჩვენშიც შედარებით მაღალ საფეხურზე სდგას, მაგრამ მას მხოლოდ განსაზღვრულ რაიონში, შიგნით კახეთში, აქვს არსებითი მნიშვნელობა; სხვაგან მისი როლი მეორე ან მესამე ხარისხოვანია. შიდა რუსეთის მეურნეობაც ასევე დაბლა სდგას ტეხნიკისა და ინტენსივობის მხრივ. ამიტომ დიდი შეცდომა არ იქნება თუ ერთ და იმავე სტატისტიკურს ცნობებს ვისარგებლებთ რუსეთისა და ჩვენი ქვეყნის დასასურათებლად.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში რუსეთში ხორბლის მოსავალი დესიატინაზე დაახლოებით 38 ფუთს იძლეოდა, ქერისა კი 51 ფუთს. გერმანიაში იმავე დესიატინაზე 137 ფუთი ხორბალი მოჰყავდათ, ან 127 ფუთი ქერი; ბელგიაში კი 157 ფუთი ხორბალი, ან 179 ფუთი ქერი. ეს ციფრები მეტის მეტად მჭერმეტყველნი არიან: ნათლად ამტკიცებენ რომ ერთი და იმავე ზომის ტერიტორიაზე კულტუროსან ევროპაში ოთხჯერ და ხუთჯერ მეტი ხალხის გამოკვება შეიძლება ვიდრე ჩვენში ან რუსეთში. და მართლაც, თუმცა საქართველო სივრცით ბელგიაზე ორჯერ დიდია, ოთხჯერ ნაკლებ მცხოვრებს იტევს ვიდრე ეს პაწია ევროპიული სახელმწიფო. საყურადღებოა ისიც, რომ ქართველის მოთხოვნილებები შეკვეცილია და ის უფრო ცუდათ იკვებება ვიდრე ბელგიელი. ბუნებრივი სიმდიდრის მხრივ კი ჩვენი სამშობლო ბევრით არაფრით ჩამოუვარდება ბელგიას, ზოგიერთი მხრით უეჭველად კიდეც სჭარბობს მას.

ცხადია რომ არც ტერიტორიის სიფართოვე, არც ნიადაგის სინოყიერე და არც ბუნების სიმდიდრე საკმაო გარანტიას არ იძლევა ეკონომიური უპირატესობის მისაღწევად. პირიქით, უმეტეს შემთხვევაში უმდიდრესი ბუნების წიაღში ულარიბესი ხალხი სცხოვრობს. ეს იმიტომ ხდება რომ ნაყოფიერი ბუნება ანოყივრებს ადამიანს და სისტემატიური შრომის მაგივრად მას უზრუნველობასა და სიზარმაცეს აჩვევს. სოციალური შრომა კი უფრო მნიშვნელოვანი წყაროა სიმდიდრისა, ვიდრე ბუნება.

მაგრამ შრომაც არის და შრომაც. არ შეიძლება ითქვას რომ ქართველი ერის დემოკრატიული ნაწილი ზარმაცი და დაუდევარი იყოს. პირიქით, ჩვენი გლეხობა არაჩვეულებრივ მუყაითი და ფხიზელია. მაგრამ ათასგვარი დაბრკოლება ანახევრებს მისი შრომის ნაყოფიერებას. უწინარეს ყოვლისა მას აკლია სათანადო ცოდნა მეურნეობის გასაუმჯობესებლად. თანამედროვე ევროპიელები ამბობენ რომ არც მიწათმოქმედებაში, არც წარმოებაში ძველი ემპირიული გამოცდილება აღარ კმარა: საჭიროა ფართე ცოდნა, რომელიც მეცნიერებასა და რაციონალის კვლევაძიებაზეა დაფუძნებული. ჩვენი გლეხობა კი ჯერ კიდევ ხელების ფათურით იკვლევს გზას. თითქმის ერთადერთი გზის მაჩვენებელი მამაპაპების მიერ ნაანდერძევი გამოცდილება. ის ხნავს ნოეს დროის კავითა და სახნისით, იმავე დროის ცელსა, ნამგალსა და თოხს ხმარობს მიწის დასამუშავებლად თუ ჰირნახულის მოსაკრებად. ამიტომ გასაკვირალი არ არის რომ მისი მუშაობის ნაყოფი ოთხჯერ და ხუთჯერ ნაკლებია ვიდრე ევროპიელი მეურნისა, რომელიც მიწას რაციონალად ანოყივრებს სხვა და სხვა ქიმიური საშუალებით ან მანქანებით ამუშავებს.

ესეცაა რომ მანქანებისა და ხელოვნური სასუქის შეძენას კაპიტალი სჭირია, ჩვენს სოფელს კი თავისუფალი თანხა იშვიათად მოეპოება. სახელმწიფო გადასახადი უსამართლოდაა განაწილებული და მთელი თავისი ტვირთით წვრილ მეურნეებს აწვება კისერზე. სასოფლო-სამეურნეო ბანკები და საკრედიტო დაწესებულებანი ფულს უმეტეს შემთხვევაში მოკლე ვადით იძლევიან და დიდს პროცენტს თხოულობენ, მეურნეობაში კი ფულის დატრიალება რამოდენიმე წელიწადს ითხოვს და ნაკლებ სარგებელს იძლევა, ამიტომ გლეხისა და წვრილი მეურნესათვის ასეთი კრედიტი იმდენად ხელსაყრელი არ არის. მსხვილი მემამულეები უმეტეს შემთხვევაში სრულიად ჰყიდიან ან აგირავებენ მიწაწყალს, აღებულს ფულს კი ახმარებენ არა მეურნეობას, არამედ პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ამიტომ ჩვენში მსხვილი ინტენსიური მეურნეობა თითქმის სრულიად არ არსებობს და ამ მხრივ გლეხობა სამაგალითოს და წასაბაძს ვერაფერს ჰხედავს.

სამეურნეო სასწავლებლების დაარსება, საცდელი მინდვრების მოწყობა, გამოცდილი და იდეური ინსტრუქტორების გაჩენა, გამოფენების გამართვა რამოდენიმედ გამოაკეთებს ჩვენი ჩამორჩენილი მეურნეობის მდგომარეობას. მისი საბოლოო ხსნა-კი მაინც ჩვენი ქვეყნის საერთო ეკონომიურ აღორძინებაშია. კაპიტალიზმის განვითარება ფეხზე წამოაყენებს ჩვენი სამშობლოს მიწადმოქმედებასაც, მით რომ იაფფასიან კაპიტალსა და ფართე ბაზარს გაუჩენს და საჭირო ცოდნასა და ტეხნიკას მიაწოდებს.

## ქართული პრესა

გაზეთ „სამშობლოში" ბ-ნი ტიტე მარგველაშვილი მოგვითხრობს ჭიათურის გერმანელ ფირმების სამრეწველოთა შესახებ, რომელთა საჯარო ვაჭრობით გაყიდვაც ამ მოკლე ხანში უნდა მოხდეს.

„ვაჭრობაში მონაწილეობას ღებულობენ, როგორც ჯერ-ჯერობით გამოირკვა, **შვიდი** სომხური ფირმა და ერთი რუსული.

მიუხედავად ამისა, ჩემის ღრმა რწმენით, თუ სიმტკიცეს, ენერგიასა და მასთან გამჭრიახობას გამოვიჩენთ, **საქმე ჩვენდა სასურველად დაგვირგვინდება.** ხაზინასა და მთავრობის სხვა უწყებმსაც არ შეუძლიათ ანგარიში არ გაუწიონ იმ ნათელ აზრს, რომ ჭიათურა მაცხოვრებელი ნერვია მთელი დასავლეთ საქართველოსათვის და ერთად-ერთი ბეჯითი დედაბოძია ქუთაისის გუბერნიისა და შორაპნის მაზრის ეკონომიურ ცხოვრებისათვის და გადასახადის გაძლებ მკვიდრ მცხოვრებთა კეთილდღეობისათვის; რომ მთელი გუბერნიის ინტერესი მოითხოვს ჭიათურის მამულების ადგილობრივ მცხოვრებთა ხელში გადასვლას.

რა ხარჯებს მოითხოვს ეს დასაკუთრება? რადგან მამულები პირვანდელ ღირებულობით გაიყიდება, რადგან ხაზინა არ ანგარიშობს წლების განმავლობაში ღირებულობის აწეულ რაოდენობას, მთელი მამულები ეღირება, ჩემის ფიქრით, $3^1/_2$ მილიონ მანათად. ვიანგარიშოთ, თუ გნებავსთ, ხუთი მილიონი. ცხადია, ამდენი თანხის ერთბაშად შეძლევა ჩვენ არ ძალგვიძს, მაგრამ **ამის ძალა არც სხვებს შესწევთ,** ამის შესახებ ჩვენ თავს ნუღვის მოვატყუილებინებთ! შეიძლება სხვანი ბევრად ჩვენზე ძლიერი გამოდგენ, გეთანხმებით, მაგრამ ჩვენ შევვიძლია ისინი დავამარცხოთ და აი რით:

როდესაც მამულები იჯარით გაიყიდება, ხაზინას სჭირდება ბეჯითი გარანტია დარჩენილ თანხის სრულიად განაღდებისათვის. ამ გარანტიას **ვერც ერთი კერძო ფირმა მთავრობას ვერ მისცემს** ჩვენზე უკეთ: ჭიათურის მრეწველთა საბჭოს საკმარისი ქონება აქვს ჭიათურაში, რომლის საწინდრობას ფასი არას დროს არ შეედრება კერძოთ ფირმის საწინდრისას. ამ მხრივ საჭიროებისამებრ, შეიძლება კიდევ საბჭოს დამხმარეთ გვერდში ამოუდგეს სხვა დაწესებულებებიც. ასე რომ, ამ მხრივ ჩვენ კონკურენტებს უსათუოთ დავამარცხებთ! მაგრამ საიდან ვიშოვოთ ერთი წილი თანხისა, რომ მამულების დარჩენისას შევიტანოთ ხაზინაში? ეს წინასწარი თანხა ისეთი მცირე შეიძლება იყოს, რომ მისი შოვნა ჩვენ არ გაგვიძნელდება, მით უმეტეს ახალი ბანკის ამუშავების შემდეგ. რჩება საკითხი, თუ საიდან შევსძლებთ, და შევძლებთ კი, ვალის გასტუმრებას? ამის შესახებ ვიტყვი, რომ ხსენებული გერმანული ფირმები თავის ადგილების დამუშავებას არ ეტანებოდნენ, უფრო მეტ ქვას ყიდულობდენ წვრილ მწარმოებლებიდან. ასე რომ, მამულები თითქმის დაუმუშავებელი და შენახულია. იმ ცნობით, რომელიც ჩემ ხელთაა, ორი გერმანული ფირმის კუთვნილ წარმოებას შეუძლია **თამამად** დაამუშაოს წლიურათ ოცი მილიონი ფუთი შავი ქვა თუ გნებავსთ, ვიანგარიშოთ ათი მილიონი, შავი ქვის მომავალი მაზანდა სულ უმცირესი ფუთი აბაზად რომ ვიანგარიშოთ, წლიურათ ორი მილიონი მანათის წარმოება იქნება. აქედან საწარმოებლათ გადასდვათ ერთი მილიონი. მაინც რჩება თავისუფალი ერთი მილიონი, როგორც მოგების უმცირესი მინიმუმი.

რამდენი დაგვჭირდება ვალის პროცენტების დასაფარავათ? იმ შეუძლებელ შემთხვევაშიაც კი, თუ ხაზინამ 10% მოგვთხოვა, ასეთ შემთხვევაშიაც წლიურათ ვალს პროცენტების დასაფარავათ **ნახევარ მილიონზე** მეტი არას დროს არ დაიხარჯება. მაშასადამე, წლიურ მოგებიდან კიდევ რჩება მთელი ნახევარი მილიონი ვალის ძირითადი თანხის წლიურათ ნაწილ-ნაწილ გასასტუმრებლად. მაშასადამე, ცხადზე უცხადესია, რომ უდიდესი ვალიც რომ ავიღოთ ხაზინიდან, ხუთი მილიონი მანათი, მისი გასტუმრება პროცენტებიანათ ძალიან ადვილათ და შეუმჩნევლათ შეუძლია წარმოებას **ათი** წლის განმავლობაში.

ეხლა მივიღოთ მხედველობაში, რომ საქონელი აბაზად კი არა ათ შაურადაც გაიყიდება, რასაკვირველია, თვით ჭიათურაში კი არა, მსოფლიო ბაზარზე, მაშინ მოგებაც თითქმის სამჯერ მეტი იქნება და ამ მხრივ **ხაზინა არავითარ რისკს არ ეწევა.**

[illegible]

## ჭიათურის შესახებ

[illegible] ...წინააღმდეგ რაიმე ზომები მიგვიღია? განა გვიზრუნია საქმის გამოსასწორებლად?

სიცოცხლის კანონია, რომ როდესაც ცოცხალ არსს რაიმე ხიფათი მოელის, ამას ანგარიშს უწევს, ხიფათის [illegible] მეტოქეობის, ეროვნული სიმდიდრის წყურვილით. ვერ გაუკაფეთ მათ სამოქმედო გზა, ვერ შევიმუშავეთ გეგმა ეროვნული სიმდიდრის შენარჩუნებისა და დაკარგულის დაბრუნებისა. ამ მოკლე ხანში ჭიათურის უდიდესი წარმოებები გაიყიდება. ვაჭრობაში მონაწილეობას მიიღებს სომეხთა შვიდი ფირმა. ქართველების-კი... არც ერთი. აი გვირგვინი იმ შემაძრწუნებელი ვითარებისა, რომელსაც განიცდის ჩვენი ეკონომიური ცხოვრება.

ი. ვაშაძე.

## საქართველოს ეგზარხოსთან

წარსულ კვირას პეტროგრადში მყოფ საქართველოს ეგზარხოს პლატონთან სადარბაზოდ იყო პეტროგრადის ქართველთა სათვისტომოს დეპუტაცია: გენ.-ლეიტ. თ-დი ა. გ. ვაჩნაძე, გენ.-მაიორი თ-დი ი. ა. ნაკაშიძე, პრივატ-დოცენტი თ-დი ზურ. დ. ავალიშვილი, კომერც. სასამ. წევრი ა. დ. ქორქი და თ-დი ა. დ. ერისთავი.

თ-დი ნაკაშიძე მოკლე სიტყვით მიესალმა ეგზარხოსს პლატონს.

პლატონმა გაუზიარა დეპუტაციას, თუ რა საქმისათვის ჩამოსულა პეტროგრადში. სხვათა შორის ეგზარხოსი სცდილობს სინოდმა თანხა გადასდოს თბილისის ახლო-მახლო სადმე ომში დაღუპულ მეომართა შვილებისათვის დიდ თავშესაფარის ასაგებად.

ეგზარხოსს, სხვათა შორის, უთქვამს: ვინახულე ახტალის ტაძარი, მოვიხიბლე მის საოცარი ჩუქურთმებითა და გრეხილებით. მაშინვე მადლობის დეპეშა გაუგზავნე ჩემს მოხუც არქეოლოგიის პროფესორს, რომ მან მასწავლა ფასი სიძველეთა დაფასებისა და მწუხარება შევუთვალე, რომ მას თვითონ პირადად არ შეეძლო საკუთარის თვალით ეხილნა ესე ყოველივე.

ეგზარხოსმა ასწერა გულის მომწყვლელი სურათი ქართულ ეკლესიების ნანგრევთა უპატრონობისა და სურვილი გამოსთქვა, რომ ყოველს ღონეს ვიხმარ ამ ეკლესიების აღდგენა-შეკეთებისათვისაო.

ეგზარხოსის შუამდგომლობით სინოდი პრინციპიალურად დათანხმებულა ქუთაისში სასულიერო სემინარიის გაახლებაზე. მართალია სემინარია განათლებულ მღვდლებს არ მისცემს საქართველოს, მაგრამ სასულიერო წოდებას საშუალება მიეცემა თავის შვილებს ისეთი განათლება მიაღებინოს, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში შესვლის საფეხურად გამოადგებათ.

მღვდლების მოსამზადებლად კი უკეთესი იქნება დაარსდეს „სამღვდლო კურსები“, სადაც შეისწავლიან ღვთის მსახურების წესებს.

სასურველად მიმაჩნია აგრეთვე დაარსო ღარიბ სასულიერო წოდების პირთათვის თავშესაფარი.

ეგზარხოსმა სიამოვნებით აღნიშნა, რომ ალავერდის ეპისკოპოსი პიროსი ხევსურეთში მიემგზავრება. ეპისკოპოსის ყოფნას სამწყსოში დიდი მნიშვნელობა აქვსო.

ბოლოს ეგზარხოს უთქვამს: ხალხის სიყვარულის მოპოვებას არა ვკისრულობ: სიყვარული ხშირად შემთხვევითსა და გარემოებაზეა დამოკიდებული. ხასიათად არა მაქვს სიყვარულის ძიება. მაგრამ ჩემი შრომისთვის დამსახურებული პატივისცემის მოპოვება კი სასურველად მიმაჩნია და საამისოდ მეცადინეობას არ დავიშურებ. („პ. ვ.“)

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

გერმანელების გადაწყვეტილებას რომ მსხვერპლი არ დაეზოგათ და ვერდენი მაინც და მაინც ხელში ჩაეგდოთ, ფრანგებმა იშვიათი თავგანწირულება და მტკიცე მამულიშვილობა შეაგებეს, ამავე ვერდენის დასაცავად. არ შეიძლება ადამიანი აღტაცებაში არ მოვიდეს ფრანგთა თავგამოდებით რომ ყველაფერი გამოიწირონ, ოღონდ ვერდენი დაიცვან. მაგრამ ძალი ალმართს ხნავს და ფრანგის ჯარი მტკაველობით მიწას სტოვებს დიდი სისხლის ღვრის შემდეგ. ვერდენს გერმანელებმა შემოაცალეს სიმაგრე სიმაგრეზე და ეხლა ზედ დედა-გულ ვერდენის კედლებთან უსაშინელეს და გადამწყვეტ ბრძოლას ანვითარებენ. შეთანხმების სახელმწიფოთა სამხედრო მოქმედების გამოცოცხლება და მათი ერთობრივი შემოტევა ცოტა ადრე უნდა დაწყებულიყო, სწორედ მანამდე, ვიდრე მდგომარეობა ვერდენთან კრიტიკულ ფაზაში ჩადგებოდა; მაშინ მეტი შანსი იქნებოდა რომ საერთო მათი მდგომარეობაც გაუმჯობესდებოდა. თუმცა შეგვიანებით მაგრამ მაინც რუსეთის მხედრობა ვერდენის გამოხსნას შეუდგა თავისი ძლიერის შეტევით ბუკოვინაში და გალიციაში. ამავე მხედრობამ გერმანელთა ლუცკის ფრონტი გაარღვია და მტრისათვის სახიფათო მდგომარეობა შექმნა. გერმანელები და ავსტრიელები იძულებულნი შეიქმნენ სხვა ფრონტებიდან რეზერვები ჩამოეყვანეს დ მიაღწიეს იმას, რომ რუსეთის ჯარის წინსვლა შეაჩერეს. გალიციასა და ბუკოვინაში რუსეთის ჯარის სამხედრო მოქმედება ლიკვიდაციის ხანაში ჩადგა. ხოლო უფრო ჩრდილოეთით, სხვა და სხვა ადგილას, კისელინის არემარეში, სოკულის რაიონში და გოროდიშს,—ბარანოვიჩთან და სხვაგან უფრო ზემოთაც გერმანელებმა ზოგან ჩამოყვანილი რეზერვების შემწეობით და ზოგან რაც ყავდათ იმ ძალებით მეტად მკაცრი ბრძოლა გააჩაღეს. მახლობელი მიზანი ამ ადგილებში ბრძოლისა უფრო ის უნდა ყოფილიყო, რომ ბუკოვინა-გალიციაში სოლივით შორს, შიგ შეჭრილი რუსის ჯარის მოძრაობა შეეყენებინათ და მისთვის შეექმნათ ზურგიდან შემოვლების შიშიშიშქარა. ეს მახლობელი მიზანი ჯერ-ჯერობით მიღწეულად უნდა ჩაითვალოს. ამ ადგილებში სიმკაცრის ერთგვარის მეტ-ნაკლებობით ბრძოლა შეუწყვეტლივ სწარმოებს ამ უკანასკნელ დღეების განმავლობაში. უკანასკნელი დეპეშიდან სჩანს რომ ბარანოვიჩის ჩრდილო-აღმოსავლეთით დიდი ბრძოლა მომხდარა. მოყვანილია ცნობები, თუ რუსებმა რა დ რა ნადავლი წამოიღეს დ რამდენი ტყვე (2,000 ჯარისკაცი) წამოიყვანეს, მაგრამ აღნიშნულია ისიც, რომ აქ რუსებს რამოდენიმე გამოჩენილი გენერალი და პოლკოვნიკი მოუკლეს თუ დაუშავეს. თავისთავად ცხადია, რომ აქ ჯარისკაცთა შესაფერი რიცხვიც დაშავდებოდა. სოფელი ეკიმოვიჩი, ბარანოვიჩის აღმოსავლეთით, ერთის ხელიდან მეორის ხელში ზედიზედ გადადის. ბრძოლა ამ რაიონებში გრძელდება.

ამავე დროს, როგორც 18 ივნისის დეპეშიდან ვიცით, ფრანგებმა და ინგლისელებმა დაახლოვებით 35 ვერსის ფრონტის სიგრძეზე გერმანელებს შეუტიეს. ალაგ-ალაგ 5 ვერსის სიღმეზე შეიჭრნენ. დაწყებული ბრძოლა გრძელდება, ხან ერთს ადგილას იღებს უფრო მძაფრ ხასიათს, ხან მეორე ადგილას. შეთანხმების სახელმწიფონი უაღრესად დაინტერესებულნი არიან დაწყებული შეტევა გაამწვავონ რაც ძალი და ღონე აქვთ, რადგანაც ვერდენის გადარჩენა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ისინი სხვა და სხვა ფრონტზე კატასტროფას და ხიფათს შექმნიან გერმანეთის ჯარებისათვის.

ვერდენი გადაიქცა დიდ პოლიტიკურ და მორალურ ღირებულების საზომად. და იქნებ მის ასეთს თუ ისეთს დასასრულს დიდი გაუთვალისწინებელი სამხედრო მნიშვნელობაც მოჰყვეს. თუ ვერდენი დაიცვეს და დაღუპვას გადაარჩინეს სხვა ფრონტზე ბრძოლის გაჩაღებით, ეს უტყუარი ნიშანი იქნება იმისი რომ შეთანხმების სახელმწიფოებს, დღეს რომ დღეა, უკვე მტერთან გასამკლავებელი ძალები ჰყოლიათ. თუ არა და, ის გამოშკარავდება რომ ისინი ჯერ კიდევ მომზადების ხანაში ყოფილან და რომ მათი განზრახული შეტევა სხვა დროს დაიწყება. ეს საერთო შეტევა, რომელიც ჩვენის აზრით, ვერდენის აწინდელი სერიოზული მდგომარეობით არის გამოწვეული, ნამდვილი სამხედრო ეგზამენია მებრძოლთათვის. ვნახოთ ვინ ჩააბარებს ამ გამოცდას და ვინ კიდევ ვერა.

X.

# ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი, 21 თიბათვე. დასავლეთი ასპარეზი.** სტირისა და სტოხოდის ასპარეზით და სტოხოდის სამხრეთით ბრძოლა დიდის სიმკაცრით გრძელდება. მტრის კონტრ-იერიშებმა უშედეგოდ ჩაიარა. ქვემო ლიპის მიდამოებში ჩვენმა ჯარმა მტერს უკან დაახევინა, რომელიც დიდის სიმკაცრით იბრძვის. მტერმა მოინდომა მდ. სტირზე გადასვლა სოფ. ლიპასთან, მაგრამ მოვიგერიეთ. ღამის განმავლობაში ხელთ ვიგდეთ 11 აფიცერი, 1,000 ჯარისკაცი და 5 ტყვიისმფრქვეველი. დნესტრის მარჯვენა ნაპირზე სოფ. ისაკოვთან მტერი სამჯერ შეეცადა წინ წაწევას, მაგრამ მოვიგერიეთ. კოლომის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა რამდენიმე ადგილიდან მტერი განდევნა და სოფ. პოტოკ ბარნი დაიჭირა. აქ ტყვეები და ზარბაზნები დაგვრჩა. სირინის სამხრეთით ჩვენ მტრის სიმაგრეებ[illegible] ღვიეთ. ამ [illegible] სულ ხელთ ვიგდეთ 72 აფიცერი, 2,000 ჯარისკაცი, 11 ზარბაზანი, ტყვიის და ყუმბარის მტყორცნელები. გუშინ იერიშის დროს გმირულად დაიხოცნენ პოლკოვნიკები გოვოროვი, მიხაილოვი, სირტლანოვი და ჭრილობით მოკვდა პოლკოვნიკი აჯიევი. ჩრდილოეთით საარტილერიო ბრძოლამ ზოგან მკაცრი ხასიათი მიიღო. სოფ. ბალტაგუზის მიდამოებში (ვიშნევსკის ტბის აღმოსავლეთით) გერმანელებმა სცადეს თხრილებიდან ამოსვლა, მაგრამ არტილერიით შევაჩერეთ. ჩვენი მფრინავები სად. ბარანოვიჩს თავს დაესხნენ.

**კავკასიის ასპარეზი.** ჩვენი წინსვლა ბაიბურთის მიმართულებით გრძელდება. ხელთ ვიგდეთ 2 სამთო ზარბაზანი, 11 ყუთი ყუმბარებით, 2 ტყვიისა და 3 ყუმბარის მტყორცნელი.

სპარსეთში ჩვენი ჯარი ქერმანშაჰის მიდამოებში იბრძვის.

**პეტროგრადი.** ოფიციალი, დასავლეთი ასპარეზი. ბარანოვიჩის ჩრდილო-აღმოსავლეთით მტერი დიდ წინააღმდეგობას გვიწევს და ცდილობს ჩვენი ჯარის შეტევა შეაჩერონ სოფ. ეკიმოვიჩი, ბარანოვიჩის სამხრეთით, რამდენჯერმე ხელიდან ხელში გადავიდა, ბოლოს კი ისევ ჩვენ დაგვრჩა. საარტილერიო ბრძოლა ზოგ ადგილას ძლიერ გააცხოველეს. ამ ბრძოლაში დაიჭრა განთქმული გენერალ-მაიორი კარპოვი და პოლკოვნიკი პერცოვი. სად. ჩარტორისკის ჩრდილო დასავლეთით, ვულკა გალუზის მიდამოებში ბრძოლით მტრის სიმაგრე ავიღეთ. კოლკის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა სოფ. ტუმანის მიდამოებში მტრის სიმაგრეების პირველი ხაზი აიღო. მდ. სტოხოდის სამხრეთით მდ. ლიპამდე ბრძოლაა. გალიციის ასპარეზზე მრავალ ადგილას ბრძოლაა. მარცხენა ფრთასთან, კარპატის მაღლობთან ბრძოლაა.

**პარიზი.** 20 თიბათვე. ოფიციალი. (დასასრული). საარტილერიო ბრძოლის შემდეგ ფრანგთა ჰაეროპლანებმა 13 გერმანელთა მიბმული ჰაეროსტატი დასწვეს. დღეს გერმანელთა 9 ჰაეროპლანი გამოჩნდა, მაგრამ ვერ გაბედა ჩვენ თხრილებზე გადაფრენა, ფრანგთა მზვერავი რაზმი მტრის თხრილებში შეიჭრნენ და ყუმბარების საშუალებით განდევნეს. მაასის მარცხენა ნაპირზე სიმშვიდეა, ხოლო „304“ მაღლობთან სროლაა. მარჯვენა ნაპირზე 3 საათ. 30 წუთ. დილით, საარტილერიო ბრძოლის შემდეგ, გერმანელებმა დამლუს სიმაგრეზე იერიში მოიტანეს და აიღეს. ცოტა ხანს შემდეგ უკან დავიბრუნეთ.

**პარიზი,** 20 თიბათვე. ოფიციალი, საღამოს ჩრდილოეთით მდგომარეობა უცვლელია, ქვეითა ჯარის ბრძოლა არ მომხდარა. აქედან სამხრეთით ჩვენმა ჯარმა გააფართოვა გამარჯვება და მეროკურის ტყე და სოფ. ფლიერი დაიჭირა. არსევილერის სამხრეთით ჩვენმა ჯარმა მტრის სიმაგრეებზე იერიში მიიტანა და ხელთ იგდო. შემ-

# ერეკლე მეფე და გრაფი ტოტლებენი

(ისტორიული ამბავი რუს-ქართველთა დამოკიდებულებიდგან)

(გაგრძელება. იხ. „საქართ.“ № 132.)

### III.

**ასპინძის ბრძოლა.**

ასპინძა! ვის არ გაუგონია ეს სახელი და ის საკვირველი გმირობა რაც ასპინძაში ქართველთა მცირე ლაშქარმა გამოიჩინა. ერეკლე მეფის ცხოვრება ეს გაუთავებელი ეპოპეიაა შარავანდედ მოსილ გამარჯვებებისა ურიცხვ მტრებზედ და ურდოებზედ. რომელთა შორისაც ასპინძის ბრძოლა განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.—იგი შედევრია უმაგალითო და უებრო, მან დაჩრდილა თითქმის მთელი წინანდელი ნამოქმედარი ერეკლესი და ისეთი ბრწყინვალება მოჰფინა მის სახელს, რომლის მზგავსიც ძვირად ახსოვს კაცობრიობის ისტორიას. ასპინძამ მაღლა ააფრიალა ერეკლეს და ქართლის დროშა, შორს ევროპაში გაითქვა მისი სახელი და დიდს საგონებელში ჩააგდო მეზრქუბი. ერეკლეს მამაცობა-გმირობა და უებრო სარდლობის სახელი არ ახალი იყო მათთვის, მაგრამ ასპინძამ ყველაფერს მათს მოლოდინს გადააჭარბა, ყოველივე გააოცა და შეუძლებელი შეაძლებინა. ძრწოდნენ მეზობელნი, შორს კიდით-კიდემდე იფინებოდა ერეკლეს სახელი, მაგრამ რამდენადაც უფრო მეტად და უაღრესად აოცებდა ქვეყნიერებას ერეკლე, უფრო მეტის ბოროტებით და შურით ივსებოდნენ მისი მტერნი. ამ ომმა მოუხვეჭა უდიდესი სახელი ერეკლეს და იმავე დროს შურითა და ბოღმით აღავსო ტოტლებენი, რომელიც ვერ გახდა ღირსი ერეკლესთან ერთად გაეყო დიდება და სახელი ამ უმაგალითო და იშვიათ ომისა.

მაგრამ უკეთესია თვით ომის ამბავი მოუთხროთ მკითხველებს. გადმოლახა თუ არა რუსეთის ლაშქარმა კავკასიონის ქედი, მეზობლები მაშინვე ახმაურდნენ და მტრულის თვალით დაუწყეს მზერა საქართველოს. ახალციხის ფაშა ხომ სულ აღარ ისვენებდა და მუქარას-მუქარაზედ უთვლიდა ერეკლეს. მაგრამ ერეკლეს აინუნშიაც არ მოსდიოდა ფაშის მუქარა, გვერდით რუსეთის მხედრობა უდგა ევროპიულად გაწვრთნილი და საუკეთესო თოფ-იარაღით შეიარაღებული. ფაშის საპასუხოდ მზადა ჰქონდა ამოწვდილი ხმალი და პირველი თოფიც ახალციხის ფაშისკენ უნდა ყოფილიყო გასროლილი.

ერეკლე კარგა ხანია მზადებაში იყო, ტოტლებენს კაცს კაცზედ უგზავნიდა და სთხოვდა ან თბილისში ან მუხრანში ჩამოსულიყო, რათა მოელაპარაკნათ და გეგმა შეემუშავებინათ ოსმალეთზედ გასალაშქრებლად. ტოტლებენი არ ასრულებდა ერეკლეს თხოვნას, პასუხის მაგიერ მეფესა სთხოვდა 400—500 კაცს დასახმარებლად და მეტს არაფერს. არ ვიცით რითი იყო გამოწვეული ასეთი საქციელი ტოტლებენისა. შესაძლებელია ტოტლებენს ისე ადვილად ეჩვენებოდა ოსმალეთში შესევის საქმე, რომ ერეკლეს დახმარებას არა საჭიროებდა და მისთვის საჭირო იყო მხოლოდ 400—500 კაცი სურსათის ზიდვაში მოსახმარისად და გზის საჩვენებლად. ასეა თუ ისე ერეკლე მოთმინებიდამ გამოვიდა მისის უმოქმედობით, აიყარა თბილისიდან და 15 აპრილს უკვე ტოტლებენთან გაჩნდა დ. სურამში, სადაც მაშინ რუსის ჯარებს დაებანაკათ. ერეკლეს თან ახლდა 7,000 ჯარის კაცი, ორი ბატონიშვილი და ერთი არქიელი. თანა ჰქონდათ წამოღებული მხოლოდ სამი ზარბაზანი.

ერეკლე და ტოტლებენი შეთანხმდნენ და გადასწყვიტეს ბორჯომის ხეობით ქვიშხეთზედ, სადგერზედ და აწყურზედ გაევლოთ და ახალციხეს დასხმოდნენ თავზედ. მტკვარზედ უკვე ხიდი იყო გამართული და ყველაფერი თადარიგი იყო დაჭერილი და წინასწარი სამზადისი ჯარების ხეობაში მშვიდობით გასასვლელად. ლაშქარში მონაწილეობას მისაღებად მოწვეული იყო სოლომონ მეფეც, რომლისაგანაც 15 მარტს დ. სურამში მოვიდა თვით მეფის ძმა ქათალიკოსი იოსები და გამოუცხადა, რომ სოლომონიც მოხარულია მონაწილეობა მიიღოს ოსმალეთზედ ლაშქრობაშიო. ის იმერეთიდგან პირდაპირ ახალციხისაკენ გაემგზავრება გზის შესამოკლებლად და იქ შეუერთდება თქვენს ჯარსაო. გარდა ამისა იოსები ითხოვდა 50 ათას მანეთს, რომელსაც დაპირებული იყო რუსეთის მთავრობიდან და აღუთქვამდა, რომ ეს ფულები მარტოთ-მარტო ოსმალეთზედ გალაშქრების საქმეს მოხმარდებაო [1]).

ტოტლებენი იგვიანებდა, რაღაზედაც იმრიზებოდა და დღე-დღეობით სდებდა გალაშქრებას. ბოლოს 16 აპრილს, როგორც იყო დაიძრა სურამისაკენ რუს-ქართველთა შეერთებული ლაშქარი და ქვიშხეთში მივიდა. აქ ერეკლე მეფეს დაეწია იმპერატორისაგან გამოგზავნილი კაცი რატიევი და უმაღლესად ნაბოძები წმ. ანდრია პირველწოდებულის ორდენი მიართვა. რასაკვირველია ეს გარემოება არ ესიამოვნა ისედაც აღრენილსა და შურიანს ტოტლებენს. მისი ბოროტი ზრახვანი ნელ-ნელა აშკარავდებოდნენ. ქვიშხეთშიაც იგვიანებდა, არა ჩქარობდა და იმიზეზებდა სურსათის უქონლობას. ერეკლემ ბრძანება გასცა და მყისვე იმდენი სურსათი მიატანინა, რომ ტოტლებენი იძულებული იყო ნაწილი სურსათისა სურამს გაეგზავნა შესანახავად. ერეკლე სთხოვდა ჩქარა ჯარების დაძვრას და ყოველგზით ცდილობდა უკმაყოფილება თავიდგან მოეშორებინა უკმეხ გენერლისათვის. ბოლოს როგორც იყო დაიძრა ტოტლებენი და მასთან ერთად ქართველთა ჯარიც და ბორჯომის ხეობას შეუდგა. როცა ჯარები სადგერშის ციხესთან მივიდნენ საიდგანაც აწყურისაკენ მიმავალი გზა ორათ იყოფებოდა, ერთი გრძელი 40 ვერსიანი, ფართო და სწორი, რომლითაც არტილერიის წაღება ადვილად შეიძლებოდა, ხოლო მეორე მოკლე 24 ვერსიანი საცალფეხო, სადაც არტილერიის წაღება შეუძლებელი იყო, ამიტომ არტილერია და ტყვია-წამალი პირველის გზით გაგზავნეს, ხოლო დანარჩენი სურსათი, სანოვაგე და ქვეითი ჯარი მოკლე საცალფეხო გზით საკირესაკენ, სადაც მათ 100 წინდაწინვე ჩაყენებული კაცი შეუერთდათ. სადგერში დასტოვეს ექვსი ზარბაზანი და 400 კაცი.

17 აპრილს შუადღისას უკვე აწყურის მიდამოებში გაჩნდა რუს-ქართველთა შეერთებული ჯარი და აქ როცა პირისპირ დასდგენ მტერთან, გამოირკვა უთანხმოება ერეკლესა და ტოტლებენს შორის. ერეკლემ წინადადება მისცა, როგორც ომებში გამობრძმედილმა და დიდათ დახელოვნებულმა სარდალმა, რომ ტყვილად მივიტანოთ ეხლავე იერიშს აწყურის ციხეზედაო, თავდაპირველად საჭიროა ირგვლივ მახლობელი სოფლები დავიპყროთ და მთელი სანოვაგე ვიგდოთ ხელთ, რომ აწყურის მეციხოვნეთ საშუალება აღარ ჰქონდეთ მისი შოვნისა და შემდეგ გავილაშქროთ და გინდა აწყურზედ, გინდა ახალციხეზედ მივიტანოთ იერიშებიო. ტოტლებენი ჯიუტობდა, სულ სხვას გაიძახოდა, არ ემორჩილებოდა მეფეს და დაჟინებით მოითხოვდა პირველად ციხეზედ მიეტანათ იერიში. ერეკლე იძულებული იყო დასთანხმებოდა. ერთის მხრივ ქართველებმა დაუშინეს ციხეს თოფ-ზარბაზანი, მეორეს მხრივ რუსებმა, მაგრამ ამაოდ, მეციხოვნენი მარჯვედ უპასუხებდნენ მიუვალსა და მაგარს ციხიდან. უნაყოფოდ ჩაიარა ორი დღის ალყამ, ტყუილად დაიხარჯა ტყვია წამალი, ციხე უძრავად იდგა და მეციხოვნეთ აინუნშიაც არ მოსდიოდათ ციხის დაცლა.

შეშინდა, დაიბნა ტოტლებენი, მტერი უძლეველი ეჩვენა და მისი ძალა აუარებელი. გაცლა, მოშორება დააპირა. გამოსთხოვა ერეკლეს საკმარისი რიცხვი კაცებისა და სახედრებისა ვითომ ჩამორჩენილი არტილერიის მისაზიდად და ნამდვილად-კი მას საკმაო რიცხვი თავის ჯარისა გაადევნა თან. მეორე დღეს კი თვითონაც აიყარა მთელის ჯარით და ერეკლეს-კი განუცხადა მე მინდა სხვა მხრიდან დაუშინო ზარბაზანი ციხესო, რათა ავაჩქარო მისი აღებაო. მაგრამ ჩქარა გამოაშკარავდა ტოტლებენის გულის ძრახვანი და აშკარა გახდა ყველასათვის, რომ ტოტლებენი ციხის სხვა მხრიდან ზარბაზნის დასაშენად კი არ გაემართა, არამედ უკანვე გამობრუნდა. გულგახეთქილი მეფე ხელახლავ გაიჭრა, დაეწია ჩამორჩენილ აფიცრებს, რომელთაც აღშფოთებით უამბეს მეფეს ტოტლებენის ვერაგული საქციელი. ერთ წუთში ელდანაკრავსავით გავარდა მეფე და ტოტლებენს დაეწია, აუწყა საქმის გარემოება, უამბო რომ მტერი მაგრე რიგად საშიში არ არის და ნუ ინებებ უკან გაბრუნებას და ქართველთა შერცხვენას. დიდხანს ემუდარა მეფე, სთხოვა რომ სარდალი იგი ყოფილიყო, გაეწია ხელმძღვანელობა ჯარისთვის და მეო დასძენდა მეფე უბრალო აფიცრათ ჩამაგდეთო. სთხოვდა მეფე და უმტკიცებდა, რომ ასეთი საქციელი საკადრისი არ არის

[1]) იხ. Грамоты 219 გვ.

დეგ ბიუკური და ფლუკური დავიჭირეთ. მტერს აქ მაშველი ჯარი მოუვიდა და არტილერიის საშუალებით განვდევნეთ. ჩვენ დავლა დაგვრჩა: 7 ზარბაზანი, მათ შორის 3 დიდი ყალიბისაა. ტყვეთა რიცხვი 8,000 აღემატება. მაასის ორთავ ნაპირებზე საარტილერიო ბრძოლამ მკაცრი ხასიათი მიიღო, განსაკუთრებით პუავრის მაღლობთან, ტიომონის და დამლუს მიდამოებში, სადაც მტერს მთელი დღის განმავლობაში იერიში მოჰქონდა.

**ლონდონი**, 20 თიბათვე. ინგლისის მთავარი შტაბის ცნობა საფრანგეთში. შუაგულ ადგილას რამდენიმე გამაგრებული ადგილი ვიგდეთ ხელთ. ზოგ ადგილებში მტერი მაგრდება. მკაცრი ბრძოლა გრძელდება. ამგვარივე სასტიკი ბრძოლაა ანკხის ჩრდილოეთით. ამ ადგილას ზოგი წართმეული ადგილის შენარჩუნებას ვერ ვახერხებთ. დღემდე 2000 ტყვე წამოვიყვანეთ. მტრის ზარალი დიდია. ჩვენი ჯარი შეიჭრა მტრის თხრილებში სუშე და იპრთან და მტერს ზიანი მიაყენა. აქვე მოქმედებდნენ მფრინავები, რის შედეგებიც გამოურკვეველია.

**ლონდონი**, 20 თიბ. ოფიციალი. ანკარასა და სომას შუა დღეს მკაცრი ბრძოლაა. დღის 2 საათზე ფრიკური დავიპყარით და აღმოსავლეთით წავიწიეთ. ხელთ ვიგდეთ დავლა. ანკრის ველის ორთავე მხარეზე ცვლილება არ მომხდარა.

19 თიბათვეს ჩვენმა მფრინავებმა მოქმედება გააფართოვე'. მრავალ ადგილას ყუმბარები ჩამოყარეს. მტრის 20 „ფოკერმა“ იერიში მოიტანა მაგრამ გავდევნეთ. სამი ჩვენი ჰაეროპლანი არ დაბრუნებულა.

**ლონდონი**, 21 თიბათვე. ინგლისის ასპარეზით მკაცრი ბრძოლა გრძელდება, თუმცა ცვლილება არ მომხდარა. ლაბუასელთან სასტიკი ბრძოლაა. გერმანელებმა ზარბაზნის საშინელი სროლა ასტეხეს. სამხრეთ ასპარეზზე სულ 11.000 კაცი დავატყვევეთ.

**რომი**, 19 თიბათვე. ადიჯეს და ბრენტის შუა წინსვლას განვაგრძობთ მტრის სიმაგრეებზე იერიში მიგვაქვს. ჩვენი არტილერია ფორტ პოლაკიოს უშენს, ჩვენ დავამთავრეთ მენჯოს მთის დაპყრობა სელუგის მთის სამხრეთი ნაწილი დავიჭირეთ. ბევრგან მტერი განვდევნეთ. აზიაგოში პატარა შეტაკებებია. იზოგცოში მტრის მფრინავებმა ყუმბარები ჩამოყარეს. ზიანი მცირედია.

**რომი**. 20 თიბათვე. ოფიციალი. ვუშინ ადიჯეს მიდამოებში მტერმა სიერა ვალედან მონტე პაზუბიომდე ჩვენს სიმაგრეებს ზარბაზნები დაუშინა. ჩვენ ვუპასუხებდით. პასუბიეს ჩრდილოეთით სასტიკი ბრძოლაა. აზიაგოსთან ასისაკენ წინ წავიწიეთ. მტრის ზიანი დიდია. ტყვეები წამოვიყვანეთ. კარსოზე მტერმა იერიში მოიტანა, მაგრამ უკუ ვაგდეთ.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### ცნობა ომის ველიდან.

ომის ველიდან „რუს. სლოვოს“ ატყობინებენ; სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ იმპერატორ ვილჰელმის სურვილით თანამდებობიდან გადაყენებულ იქნა ჰერცჰერცოგი იოსებ-ფერდინანდი, რომელიც უკვე ვენაში გაემგზავრა. ჰერცჰერცოგი გენ. კალედინის ჯარს. სარდლობდა, რომელიც რუსის ჯარმა გაანადგურა.

— ამ ჯარს დღეს ფელდმარშალი—პორუჩიკი ლინზინგენი სარდლობს, რომელმაც მხოლოდ ვოლინში 19 დივიზიამდე მოუყარა თავი: ამათში ცხრა დივიზია გერმანელებისაგან შესდგება. ესენი რუსეთის და საფრანგეთის ასპარეზიდან გადმოიყვანეს.

როგორც ტყვეები ირწმუნებიან კოველში ფელდმარშლები მაკენზენი და ჰინდენბურგი ყოფილან. ამათ ლინზინგენთან ერთად შეუმუშავებიათ გეგმა, რომ რუსებზე გაილაშქრონ და ძველ ადგილებისაკენ უკუ აგდონ. როგორც დღეს. ოფიციალ დეპეშებიდან ვგებულობთ, გერმანელებმა თავიანთი ზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს, პირ-იქით ისევ უკან იხევენ.

### მაიორ მორატის აზრი.

ბაზელიდან მოსული ცნობით, გერმანელები აღნიშნავენ ინგლისელთა მზადებას და დასძენენ: დასავლეთ ასპარეზზე ინგლისელები დიდ მზადებაში არიან—ლაბასედან მოყოლებული ფრანგთა ჯარის მარცხენა ფრთამდე.

მაიორი მორატი აღნიშნავს ამ მოვლენას და ამბობს: გერმანეთი დასავლეთ ასპარეზზე დამშვიდებული ელის ახალ მოქმედებას. ამასთანავე აღნიშნავს, რომ ვერდენთან მდგომარეობა გართულდა.

ჩვენი მდგომარეობა მაასის ორთავ ნაპირებზე ჩემის აზრით, განაგრძობს მაღალ დამაკმაყოფილებელია, მაგრამ შეუგნებლობა იქნება ვიფიქროთ რომ ფრანგებთან ბრძოლა შემდეგში ადვილი იყოს. ვერდენთან ისტორიული ბრძოლაა და ეს სასტიკი ბრძოლა ბოლომდე უნდა მივიყვანოთ. საჭიროა ანგარიში გაუწიოთ მტრის გმირობას და მოველოდეთ ახალ მსხვერპლს.

ბოლოს მორატი ეხება ავსტრია-ჰუნგრელებთა უკან დახევას და დასძენს, რომ ეს მოვლენა დაკავშირებულია საერთო სტრატეგიულ მდგომარეობასთან საფრანგეთის და რუსეთის ასპარეზებზე.

### ი ტ ა ლ ი ა.

იტალიელები დღითი დღე წინ იწევენ და სხვა და სხვა სიმაგრეებს უკანვე იბრუნებენ. ამგვარად ავსტრიელთა შრომამ და მსხვერპლმა უშედეგოთ ჩაიარა. ამ შემთხვევაში რუსების შეტევამ ბუკოვინაში და გალიციაში იტალიელებს დიდი სამსახური გაუწია.

ამ მოვლენას ძალიან დააფიქრიანა ავსტრიელები და ცდილობენ როგორმე გამოაკეთონ თავიანთი მდგომარეობა და კვლავ თავისი გეგმის განხორციელებას შეუდგნენ.

გაზეთ „პოლიტიკენ“-ის სიტყვით, ავსტრიელთა მდგომარეობა ტრენტინოში გართულდა უფრო იმით, რომ მათ ამ უშველებელ ასპარეზზე მხოლოდ ერთი რკინის გზის ლიანდაგი აქვთ, რაც ომის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ვერ შესძლებს.

### კრუპის ქარხანა მიუნხენში.

მიუნხენში კრუპის ახალი სააქციონერო საზოგადოება შესდგა ზარბაზნების ქარხნის მოსაწყობად. თანხა 25 მილიონი მარკა აქვს. კრუპის ქარხნის მთავარმა გამგემ ფონ-ბოლენმა ინახულა მეფე ლიუდვიგი III.

ქარხანა დასრულდება 1917 წელს და ზაფხულშივე შეუდგება მუშაობას.

### მეფე კონსტანტინე და ვილჰელმი.

ნეიტრალ სახელმწიფოთა ცნობით, როდესაც მოკავშირეებმა საბერძნეთს ულტიმატუმი წარუდგინეს, მეფე კონსტანტინე ვიდრე სკულუდისის კაბინეტს შესცვლიდა წერილით ვილჰელმს შეეკითხა დასთანხმდეს თუ არა მოთხოვნილებებზე მოკავშირეთა სახელმწიფოებს. ვილჰელმს უპასუხნია კონსტანტინესათვის: საბერძნეთის ჩარევა ცენტრალ სახელმწიფოთა მხარეზე დიდ სარგებლობას ვერ მისცემს მათ, ისე რომ ამ შემთხვევაში შესაძლებელია მოკავშირეთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

### ინგლისის ასპარეზი.

„რუს. სლოვოს“ პარიზიდან ატყობინებენ: ინგლისის ასპარეზზე სასტიკი ბრძოლაა. ინგლისელები ამ უკანასკნელ დროს ახალ საშუალებით იბრძვიან. აქ მკაცრი საარტილერიო სროლა გაჩაღდა და ყველაფერს მიწასთან ასწორებენ. გერმანელების მიერ აგებული სიმაგრეები და თხრილები დანგრეულია. ეხლა,—განაგრძობს კორესპონდენტი,—მოწმენი ვხდებით იმ გვარ ბრძოლისა, რომელსაც ომის დაწყებიდან დღემდე ჩვენ შორის ადგილი არა ჰქონია. მოკავშირენი თანხმობით იბრძვიან და მტერს ყველგან უტევენ.

### ასპარეზის საერთო მდგომარეობა.

„რეჩი“ სწერს: ჩვენი მოკავშირეები რომ დასავლეთ ასპარეზზე სამოქმედოდ ემზადებოდნენ, ამაზე პრესა დიდი ხანია ალაპარაკდა. გერმანელები თავის მხრივ ემზადებოდნენ და საჭირო ძალასაც მოუყარეს თავი, რომ მოპირდაპირესათვის ჩრდილოეთ საფრანგეთში შეეტია. მაგრამ ვერდენთან ბრძოლა გაჭიანურდა, რამაც ხელი შეუშალა გერმანელთა განზრახვას. უკანასკნელ ხანებში გერმანელებმა ვერდენის ჩრდილოეთით და შამპანში შეუტიეს, მაგრამ ყველგან მოიგერიეს. პირიქით ინგლისელთა და ფრანგთა ოფიციალი ცნობის მიხედვით მათ გერმანელთა ბრძოლის ხაზი გაარღვიეს და ოთხი ვერსის მანძილით წინ წაიწიეს. მოკავშირეებმა მაშინ შეუტიეს, როდესაც რუსებმა ვოლინში და ბუკოვინაში ჩაიწიეს, რადგანაც გერმანელებმა რუსეთისაკენ მაშველი ჯარი გადმოიყვანეს და მით დასავლეთი ასპარეზი შესუსტდა.

### გერმანელთა შიში

„ინდეპენდ. რუმაინე“ სწერს: საფრანგეთიდან მოსული ცნობით, გერმანელელები პინსკის მიდამოებს სცლიან და პრიპიატის მარცხენა ნაპირზე მაგრდებიან.

„ვესტმინსტერ გაზ.“ ბუქარესტიდან ატყობინებენ ქ. ლვოვის მცხოვრებთ ებრძანა ლვოვი დასცალონ და სახელმწიფო დაწესებულებანი კრაკოვში გადაზიდონ.

პერემიშლის კამენდანტმა ბრძანება გასცა, სადაც ნათქვამია, რომ რუსებს შეუძლიანთ პერემიშლს კვლავ ალყა შემოარტყან.

### გერმანელთა ახალი ცეპელინები

იტალიის ჟურნალი „რივისტა მარიტტიმა“ გერმანულ გაზეთ „ნაციონალ ცაიტუნგის“ ცნობას იძლევა, სადაც აღწერილია გერმანელთა ახალი „ზე-ცეპელინი“, რომელიც ბევრად შეკეთებული იქნება, რადგანაც ინგლისის მიწა წყალზე თავდასხმის დროს ცეპელინებს ზოგიერთა დანაკლისი აღმოაჩნდა ამ ცეპელინებს 4 ნახევარ ვერსის სიმაღლეზე ასვლა შეუძლიანთ, მაშასადამე ჰაეროპლანები ვერ შესძლებენ მაზე იერიშის მიტანას. ცეპელინი შეიარაღებული იქნება 6 ტყვიის მფრქვეველით და 2 ჩქარ მსროლელი ზარბაზნით. იგი ჯავშნიანი იქნება და შესძლებს თავი დაიცვას ტყვიის მფრქვეველისაგან. მაზე შეიძლება ას ყუმბარამდე ატანა. ამგვარად ეს ზე-ცეპელინები ნამდვილ ჰაერის გემებს წარმოადგენს, რომელსაც შეუძლიან დიდი ცვლილება შეიტანოს ჰაერში საბრძოლველად. ამათ გაცილებით მეტი ზიანის მოტანა შეუძლიანთ, ვიდრე ძველ ცეპელინებს, რომლებიც ნაკლებ არიან შეიარაღებულნი.

## დეპეშები

### (პეტრ. სააგენტოს დეპეშები)

**რუსეთის ასპარეზზე** სტირის და სტოხოდის შუა სასტიკი ბრძოლა გრძელდება. რუსებმა ტყვეები წამოიყვანეს, აქ დავლაც დარჩათ.

—

გუშინ იერიშის დროს რუსებს ოთხი გამოჩინებული პოლკოვნიკი მოუკლეს, დაიჭრა გენ.-მაიორი კარპოვი.

—

რუსების მფრინავები ბარანოვიჩს თავს დაესხნენ.

—

**კავკასიის ასპარეზზე** ბაიბურთის მიმართულებით რუსები წინ მიდიან. სპარსეთში კერმანშაჰთან ბრძოლაა.

—

**ინგლისის შტაბის ცნობით** ანკრასა და სომას შუა მკაცრი ბრძოლაა. ინგლისელები წინ იწევენ. აქვე მოქმედებენ მფრინავები.

—

იტალიის ასპარეზზე ადიჯეს ხაზით და სხვა ადგილებში იტალიელები წინ იწევენ.

—

**საფრანგეთის ასპარეზზე** მეროკურის ტყის აღმოსავლეთით ფრანგები წინ მიდიან. მაასის ორთავ ნაპირზე საარტილერიო ბრძოლააა.

—

ინგლისის გემი „მერის“ ჩასძირეს.

## ახალი ამბავი

◆ **კავკასიის უღელტეხილის გზა.** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გოფმეისტერმა შტიურმერმა აცნობა მეფის ნაცვალს, რომ ნება მიეცა სამხედრო უწყების ინჟინერ კუჩინსკის ელექტრონის გზის გაყვანისა კავკასიის უღელტეხილზე თბილისის კავკავთან შესაერთებლად, მოკლე გზით ქვენაშეთის მიმართულებით, დიდ გვირაბის გაუკეთებლად.

◆ **ხევსურთა დახმარება.** ქართ. საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობის დავალებით პირიქით ხევსურეთში ამ დღეებში მიემგზავრება ხევსურთა მდგომარეობის გასაცნობად შ. ქარუმიძე.

◆ **საქართველოს ეგზარხოსმა** სინოდში ბევრი მოხსენება გაუტარებია სასურველ დასკვნით. სხვათა შორის თბ. სასულიერო სემინარიის შენახვა, რომელსაც საქართველოს საეკლესიო ხაზინის ხარჯით ინახებოდა ხ ზინისათვის დაუვალებია, რუსეთის სასულიერო სემინარიების მსგავსად.

◆ **თბ. თავად-აზნ. გუბერნიის** წინამძღოლი თ-დი კ. ნ. აფხაზი გუშინ საქართველოს ეგსარხოსთან იყო საღარბაზოდ.

◆ **დამტკიცება თანამდებობაში.** მეფის ნაცვალმა დაამტკიცა სახელმწიფო სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკის კავკასიის განყოფილების წევრებად თ-დი ალ. ნ. ჭავჭავაძე და კ. ი. თულაშვილი ხოლო სადეპუტატო საკრებულოს მდივნად ილ. ე. ზურაბიშვილი.

◆ **თბილისში ჩამოვიდა** ისპაჰანის გენერალ გუბერნატორად ახლად დანიშნული პრინცი ზილი სულთანი შვილებით.

◆ **ვაჟთა მეორე გიმნაზიის** დირექტორად დანიშნული კიევიდან ბ. უსპენსკი თბილისში ჩამოვიდა.

◆ **საგარაკო ფონდის** სასარგებლოდ ქართვ. კულტ. მოყვარე საზოგადოების საგანგებო კომისიას 20 თიბათვემდე შემოსვლია შემოწირულება 4500 მანეთი.

◆ **სასანიტარო მატარებელი.** გუშინ სასანიტარო მატარებლით კავკავს გაიგზავნა 40 ჯარის კაცი მოთავსებული თბ. სხვა და სხვა საავადმყოფოებში.

◆ **შაქრის გადმოსაზიდათ** საგანგებო კომიტეტმა კავკასიის საჭიროებისათვის 285 ვაგონი დანიშნა.

◆ **ახალი აფთიაქი სოფლად.** მარტყოფის სოფლის საზოგადოებამ დაადგინა გახსნას ს. მარტყოფში აფთიაქის აღებისა უნდა მიმართონ მარტყოფის მამასახლისს ივანე პეტრეს ძე ეპიტაშვილს სად. სართაჭალით კახეთ. რკ. გზისა.

◆ **დაჯილდოება.** უმაღლესად დაჯილდოებულ იქმნენ ბრძოლის ველზე სამხედრო საქმეებისათვის წმ. გიორგის ჯვრით 4 ხარისხისა დაღესტნის რაზმის პოლკოვნიკი თ-დი გივი ამილახვარი და შტაბ-როტმისტრი ვლადიმერ კეფეიშვილი.

◆ **ბათომის პოლიცმეისტრად** დანიშნულ იქმნა კერჩ-ენიკალის პოლიცმეისტერი ბანჩევსკი.

◆ „**ქართლის**“ ცნობით თბილისის ბაზარზე ხილისა და ბოსტნეულის მაზანდა დაახლოვებით იყო: ვაშლი ერთი ფუთი 3 მან. 50 კ., მსხალი 4 მან., ატამი 4 მ., ალუბალი 5 მ., ტყემალი 2 მ., პამიდორი 4 მან., ხახვი 3 მან., კიტრი ასი ცალი 2 მ., კომბოსტო 1 მ.

◆ **შაბიამანი.** 20 თიბათვეს თბილისში ერთი ვაგონი შაბიამანი მოვიდა ძველ გავაზის ამხანაგობის სახელზე. ეს ის შაბიამანია რომელიც ამხანაგობამ იყიდა თერთმეტს მარტს ქ. ოდესაში და დიდ ტანჯვა-წვალების შემდეგ ძლივს მოახერხეს ოდესიდან გემ „დიმიტრიეთი“ დაძვრა, რომელსაც სამხედრო უწყება არ უშვებდა. ფოთის ნავთსადგურის მუშების გაფიცვამაც შეაჩერა საქონლის მიღება რამდენიმე დღით. შაბიამანი უკვე წაიღეს ძველ გავაზელებმა.

### ქუთაისი.

◆ **ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მოწაფეთა ექსკურსია.** 21 თიბათვეს თბილისში ჩამოვიდა ქუთაის. ქართ. გიმნ მოწაფეთა ექსკურსია, რომელსაც ხელმძღვანელობს ისტორიისა და გეოგრაფიისა მასწავლებელი შ. სანიკიძე. მათი უმთავრესი მიზანია კახეთისა და სამცხე-საათაბაგოს შესწავლა. თბილისის დათვალიერების შემდეგ მოწაფენი კახეთში გაემგზავრებიან, სადაც დაახლოებით ორ კვირას დაჰყოფენ და ფეხით მოივლიან საუკეთესო ადგილებს. იმედია ადგილობრივ მათ დახმარებას აღმოუჩენენ ჩვენი მცოდნე და გამოცდილი პირნი.

— ქუთ. გუბერნატორმა ნება დართო ქ. შ. წ. კ. გამ. საზ. ჭიათურის განყოფილებას გახსნას ს. პერევისაში (შორ. მაზ.) არჩილ ჯორჯაძის სახელობაზე უფასო წიგნთ საცავ-სამკითხველო.

— სოფ. გულისკარის (სენ. მაზრ.) მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთ. გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართონ გახსნან მომხმარებელი საზოგადოება.

## სამძიმრის დეპეშები

ალ. ყიფშიძის-ფრონელის გარდაცვალების გამო.

**ქუთაისიდან**—გიორგი გორდეზიანისაგან.

**ფოთიდან**—ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრულებელისაგან.

**ახალქალაქიდან**—ქართული საქველმოქმედო განყოფილების თავმჯდომარე მამა დალიბექი, ფალავანდოვი.

**ქარელიდან**—ავალიშვილებისაგან.

**ბორჯომიდან**—ქიქოძე, შარაშიძე და ქარცივაძისაგან.

**დიდიჯიხაიშიდან**—ბლაღოჩინი სამსონ დევიძისაგან.

**ზესტაფონი.** ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ზესტაფონის განყოფილება უზომოთ დასტრის სამშობლო ქვეყნის უერთგულესის შვილის ისტორიკოს და საზოგადო მოღვაწის გულწრფელ „ქართველის“ უდროოთ დაკარგვას.

თავმჯდომარე **ვლად. ჩხეიძე.**

### სამძიმრის წერილები.

**სოფ. ბრეთი,** [illegible] ... ფელ ბრეთში მცხოვრებ ... ლების საგვარეულომ, დიდათ დამწუხრებულებმა უეცრად გარდაცვალებით ჩვენის სასიქადულო და საყვარელის ნათესავის **ალექსანდრე (შაშა) თევდორეს ძე ყიფშიძისა**, 23 ამა თვეს თანადასწრებით ჩვენის მეზობლების თავადებისა და გლეხებისა, გარდაიხადეთ წირვა და პანაშვიდი თავისი სამშობლო საქართველოს ერის მოამაგე, მოსიყვარულე და მწერლის ხსენებული შაშა ყიფშიძის სულის მოსახსენებლად.

მღვ. **გიორგი ედილაშვილი.**

**საბარეჯო.** თიბათვეს 18-ს შევიკრიბენით რა ბატონ ალექსანდრე ყიფშიძის გარდაცვალების გამო, ჩვენ მისი ხსოვნის პატივის მცემელნი, გადავსწყვიტეთ გავგზავნოთ ჩვენი წარმომადგენელი, რომელსაც დავაკისრეთ დაესწროს პატივცემულ ალექსანდრეს გვამის დაკრძალვაზედ და იყვეს გამომხატველი ჩვენი მისდამი პატივცემისა და მწუხარებისა. ამავე კრებაზედ დამსწრეთა შორის შეიკრიფა 40 მან. რომელიც გადასწყდა ნაცვლათ გვირგვინისა, გარდაეცეს იმ საზოგადოებას ან დაწესებულებას, რომელიც იკისრებს დაუვიწყარი ჰყოს მისი ძვირფასი სახელი.

წარმომადგენელათ არჩეულ იქმნა ბატონი იერემია დიმიტრის ძე გულისაშვილი.

**ნ. ბაზუროვი, ლევან გულისაშვილი, ალ. ლეჟავა, თედორე აბშილაია, მღვდელი დიმიტრი ბურთიკაშვილი, ალექსანდრე ვლ. წერეთელი, სოფიო ბერიძე, ოლღა გულისაშვილი, ალ. არუთინოვი, წირქაძე, გ. მჭედლიშვილი.**

—

გუშინდელს ცნობებში გამოტოვებული გვქონდა, რომ განსვენებული **ალექსანდრე თევდორეს ძის ყიფშიძის** დასაფლავებაზე დაესწრო მენქალისის ამხანაგობის წარმოდგენელი წევრი **ი. ს. წითლანაძე.**

## ქუთაისის რაიონის კოოპერაციათა კავშირი

კვირას, 19 თიბათვეს შავი ქვის საბჭოს დარბაზში ი. გაბილაას თაოსნობით მოხდა ქუთაისის რაიონის კოოპერაციათა წარმომადგენელთა კრება. თავჯდომარედ აირჩიეს **ვლ. ემუხვარი** და მდივნათ ბ-ნი **დევიძე**. კრებაზე გამოცხადდა სულ 16 სოფლის კოოპერაციის წარმომადგენელი. ამ განზრახული საზოგადოების წესდება უკვე დაუმტკიცებია გუბერნატორს. დამაარსებლად ითვლებიან: ექ. ნ. დ. ლორთქიფანიძე, ნ. მ. ლორთქიფანიძე და ნიკო შენგელია.

უპირველეს ყოვლისა დიდ კამათს იწვევს საკითხი: დაარსდეს თუ არა ასეთი დაწესებულება—მიზან შეწონილია თუ არა და ეწინააღმდეგება თუ არა ეს ასეთი ცალკე რაიონის კოოპერატორთა შეკავშირება საზოგადოთ კოოპერაციის პრინციპს, მის იდეას?

**ბ-ნი გ. ტუსკია, ყიფიანი, ახათიანი და სხვები** წინააღმდეგი არიან ასეთი გამოცალკევებისა კავკასიის კოოპერატორთა კავშირთან. ასეთი რაიონული შეკავშირება სოფლის კოოპერატორთა მავნებლათ მიაჩნიათ, რომელ მოსაზრებასაც თავისებურათ ამტკიცებენ. ბ-ნი ბერიძე და თითქმის ყველა კოოპერაციის წარმომადგენლები წინააღმდეგი არიან ასეთ საკითხის გაუქმების.

**ბ-ნი ბერიძე.** ბ-ბო არა ერთხელ შეგვხვედრია დიდად საჭირო საკითხის განმარტება და გადაჭრა მარგრამ სოფლათ ყველა არ ვართ ისე სპეციალისტები, რომ ასეთ გართულებულ საქმეებს გაუმღვეთ რომ ვინმე ხელმძღვანელი არ გვეყოლოს, ამიტომ საჭიროა ჩვენს ახლოს იყოს ისეთი დაწესებულება—კავშირი, სადაც შეგვეძლიან მივმართოთ და რჩევა დარიგება მივიღოთ. გარდა ამისა ამ კავშირს დიდი მნიშვნელობა ექნება საქონლის გამოწერაში და მის განაწილებაში კოოპერაციებთა შორის.

**თავმჯდომარე.** ჩემის აზრით საჭიროა ამ საკითხზე ლაპარაკი შევწყვიტოთ, რადგანაც საკითხი უკვე გამორკვეულია.

**ბ-ნი ტუსკია.** ამ საკითხზე ლაპარაკის შეწყვეტა და ასე მარტივად საქმის გადაჭრა შეუძლებლად მიმაჩნია. თუმცა საკითხები ბევრია გასარჩევი, მაგრამ შეიძლება სხვა უმნიშვნელო საკითხზე არ შევჩერდეთ დიდ ხანს. ბ-ნი ტუსკია მოითხოვს განაგრძონ ამ საკითხზე აზრის გაცვლა-გამოცვლა.

**გაბილაია.** ამ კრებაზე წარმოსადგენი მოხსენება აქვთ თბილისიდან ჩა-

---

და სახელსა და ეხტიბარს უტეხავს რუსეთსო და ქართველთა ჯარს კიდევ გააფთრებულ მტრის კერძათა ჰხდისო.

მაგრამ ულმობელი იყო ტოტლებენი, არ ისმენდა მეფის ვედრებასა და ღაღადს. ხან სურსათის უქონლობას იმიზეზებდა, ხან იმას ამბობდა, რომ იმპერატრიცასაგან ბრძანება არა მაქვს ახალციხეზედ გალაშქრებისო და სხვა და სხვა. ქართლის ცხოვრება მარტივად ხსნის ამ გარემოებას და გულუბრყვილოდ ამბობს: ხოლო შთააგდეს შური ბოროტთა კაცთა და უზიდგან გრაფ ტოტლებენს ავსა სიტყვისა და ამის ძალით შემოსწყრა ტოტლებენი მეფესა, აიყარა თავისის ჯარით და წარვიდა. [2])

ბოლოს თვალის მოსატყუებლად მახლობელს გორაკზედ აიტანა ორი ზარბაზანი, რომელიც კარგად შორავდა სამოქმედო ესპარეზს და იქიდგან რამდენჯერმე ისროლა ზარბაზანი ვითომ მტრების პოზიციებს და შემდეგ უკან გამობრუნდა, ვითომ ცოტა ქვემოდ მოხერხებულს ადგილას დასაბანაკებლად, სადაც შესაძლებელი იქნებოდა სურსათის შოვნა. რასაკვირველია ყველა ეს მხოლოდ თვალმაქცობა იყო ტოტლებენის მხრივ და ყველა ამას იმიტომ იგონებდა, რომ როგორმე ხელიდგან გასხლეტოდა ქართველებს.

ელვასავით მოედო ქართველთა ბანაკს ტოტლებენის ვერაგული საქციელის ამბავი. შეძრწუნდა ყველა, აღშფოთდა დიდი და პატარა, საზღვარი არა ჰქონდა ქართველთა ჯარის მღელვარებას.

—ღალატი, ღალატი, გაისმოდა ყველგან, რუსებმა გვიღალატესო და ამას ისეთის ბრაზით და მღელვარებით გაიძახოდნენო, ამბობს კაპიტანი თარხანოვი, რომელიც ტოტლებენს არ გაჰყვა და არჩია ქართველებთან ყოფნა თავისის მცირე ამალით, რომ ხმალ-ამოღებულნი მოსცვივდნენ ჩემთან მყოფს ყაზახებს და სხვა რუსს მოსამსახურეებს და კინაღამ ლუკმა-ლუკმა არ აჰკუწესო. დიდი მეცადინეობა და ხვეწნა დამჭირდა ქართველთა ჯარის კაცებთან, რომ გამეჩერებინა ჩემი მხლებლები მკვლელნიო.

მაგრამ აღელვებული და სასოწარკვეთილი ჯარის შეკავება ძნელი და იყო, როცა თვით მეფე და დიდებულნი ისეთს გაჭირვებასა და საგონებელში იყვნენ ჩაცვივნულნი, რომ არ იცოდნენ რა ექნათ. ჯარი გარბოდა, აღარ სდგებოდა, აღარაფერი არ სჯეროდა მათთან, სტოვებდა ყველაფერს და რუსთა ღალატით ბრაზ მორეული და უაღრესად გაბოროტებული აღარას დაგიდევდა და სახლისკენ მიიწევდა. მაშინ ერეკლემ და დიდებულთ გადუჭრეს გზა ლტოლვილთა, ამბობს თავის წერილებში, იგივე თარხანოვი, ზოგი მუქარით და ზოგი თხოვნით უკანვე გამოაბრუნესო.

ასეთს მდგომარეობაში იყო ქართველთა ჯარი. მტერმა შეამჩნია და მის თვალთა ხედვას არ გამოეპარა ქართველთა ჯარის არეულობა. შეურჩია დრო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გამოვიდა ციხიდგან და დიდის ყიჟინით ალახის ძახილით იერიში მიიტანეს ქართველთა ჯარებზედ. ფიცხლავ გონს მოვიდა ერეკლეს მხედრობა და ერთის თვალის დახამხამებაში როგორც ერთი კაცი 500 ცხენოსანი მეტი ეკვეთა მტერს და ისე მძლავრად ეკვეთა, რომ მყისვე უკუ აქცია და ბრძოლის ველი შედება მტერთა მრავალის მსხვერპლით და უკანვე შერეკა ციხეში. ქართველთა მხრივ მხოლოდ ერთი იქმნა მოკლული და სამი დაჭრილი.

ამ მცირე გამარჯვების შემდეგ ერეკლე კიდევ შეეცადა ტოტლებენის გამობრუნებას. შიკრიკი გაუგზავნა, შეატყობინა ეს გამარჯვება და სთხოვა გამობრუნებულიყო, რადგანაც მტერი საშიში და ძლიერი არ არისო და შეერთებულის ძალით არამც თუ ვძლევთ მას, დიდს ზიანსაც მივაყენებთ და წინ წავიწევთო. ტოტლებენი სრულიად არ ფიქრობდა დაბრუნებას, ის უკვე კარგა მანძილზე მოშორებოდა ერეკლეს ჯარს და ქართლისაკენ ექნა პირი. ამაოდ უცდიდა ერეკლე, უმოქმედოდ იდგა მისი ჯარი, არ იცოდა წინ წაეწია თუ ადგილობრივ მოეცადა და თვალყური ედევნებინა რუსეთის მხედრობისათვის, რადგანაც ადვილად შესაძლებელი იყო და მოსალოდნელი რომ ერეკლესაგან განცალკევებულს რუსის ჯარისათვის გზა მოეჭრათ ოსმალებს და ვიწრო ხეობაში მომწყვდეული რუსის ჯარი გაენადგურებინათ. არც უსაფუძლო იყო ეს. ჯაშუშებმა მოუტანეს ერეკლეს ამბავი, რომ ოსმალთ განზრახვა აქვთ რუსის ჯარის მომწყვდევისა და მისი მთლიანად განადგურებისა. რუსის ჯარი გადარჩა ამ განსაცდელს.

ზ. **ედილი.**

(დასასრული იქნება)

[2]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 491 ტომი II.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსულ პირთ, რომელთაც მინდობილი აქვთ ჩვენს მხარეში შეაგროონ სამკურნალო მცენარეულობა, და რადგანაც მათ ძლიერ ეჩქარებათ ნება მიეცით რიგს გარეშე მოგახსენონ. კრებამ თანხმობა გამოაცხადა.

კრებაზე გამოცხადდენ რწმუნებული ბ-ნი **დ. ი. ხოხნოვსკი** და მისი თანაშემწე ბ-ნი **ბუაჩიძე**. თავმჯდომარემ სტუმართ შესაფერი სიტყვით მიმართა.

**დ. ი. ხოხნოვსკი.** სასანიტარო საევაკუაციო ნაწილის პრინც ოლდენბურგისაგან მონდობილი მაქვს ქუთ. გუბერნიაში შევკრიბო სამკურნალო მცენარეულობა. ასეთი მცენარეები სამი-ოთხიოდეა მაგრამ საჭიროება მისი განუსაზღვრელია. რადგაც სასურველია რომ საქმე არ ჩაუვარდეს კერძო პირთ, გვინდა კოოპერაციებმა იკისრონ ეს საქმე. ამას დიდი საჭიროება აქვს ჯარისათვის. დაწვრილებით ამის შესახებ ქართულათ მოგახსენებთ ჩემი დამხმარე ბ-ნი ბუაჩიძე.

**ბუაჩიძე.** ვრცლათ ეხება იმ მცენარეებს, რომელიც ასე საჭირო არის და თანაც აღნიშნავს თუ რომელი მცენარე ჩვენი კუთხის რომელ მხარეში იშოვება.

კრებამ მადლობა და თანხმობა გამოუცხადა სტუმრებს.

კრება კვლავ უბრუნდება საკითხს ამ საზოგადოების დაარსების შესახებ. დიდი კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა: კავშირის წევრათ გამგეობამ თავისი უფლებით მიიღოს ყველა კოოპერაციები, კერძო პირები კი მიიღებიან საზ. კრების მიერ.

**გ. ტუხკია.** რომ ადგილობრივი რაიონული შეკავშირება ნაჩქარევი და მიზან შეუფერებელიარ იყოს, დღევანდელი კრება სარგებლობს შემთხვევით და ირჩევს კომისიას, რომელიც ეცდება შეძლებისა და გვარათ გამონახო საშუალება, რათა ეს კომისია შეთანხმებულ იქნეს კავკასიის კავშირთან.

**გაბილაიამ** წამოაყენა წინადადება: კრებამ მოისმინა მოხსენება და გადადის მ[illegible] რიგ საკითხზე. კრებამ ერთხმად მიიღო ბ-ნ გაბილაიას წინადადება დროებითი გამგეობაში ამოირჩიეს: ექ. ნ. შენგელია, ალ. ემუხვარი და ი. გაბილაია და მათ დაევალა საზოგადო კრება მალე მოიწვიონ.

კრება ღამის 12 საათზე დასრულდა.

ა. ნ—ძე.

## ოსმალეთის საზღვარზე

(საკუთ. კორესპონდენტისაგან)

**საუბარი ოსმალო ოფიცერთან**

საღამო ჟამი იყო, როცა გვითხრეს რომ ტყვე ოსმალი ოფიცრები და ასკერები მოჰყავთო. ჩვენც გავეშურეთ იქით. მოიყვანეს რამდენიმე ასკერი და ორი აფიცერი. პირველ შეხედვაშეხედვე შევატყობდით, რომ ინტელიგენტი და ფაქიზი ადამიანები იყვნენ. დინჯი ლაპარაკი, ყოველ კითხვაზე დაფიქრებული და მოკლე პასუხი, სახის სიმშვიდე. ამასთან თამამი და მორიდებელი ლაპარაკი. ვიდრე უფროსები გამოჰკითხავდნენ ხმა ამოუღებლივ ვიდექი და თვალყურს ვადევნებდი. მალე ჩემი ჯერიც მოვიდა, მიუახლოვდი და ოსმალურად გამარჯვება უსურვე და როგორც წესია მათში მისალმებისა ისრე მივესალმე. ამ სცენამ ისინი სრულიად გააკვირვა და ერთხანობას გაკვირვებული შემომყურებდნენ.

— რათ გაგიკვირდათ ჩემი ასეთი მისალმება? შევეკითხე სიცილით...

— როგორ არ გაგვიკვირდეს, ჩვენ ვიცით რომ აქ ზოგი ლაპარაკობს რუსთაგანი ოსმალურს მარა ამახინჯებს და არც იციან ჩვენი მისალმება; თქვენ სად გისწავლიათ ენა, ან ვინა ხართ?

— მე ბატონო, თვითონ ქართველი ვარ, ვმსახურობდი ოსმალთა შორის და შევისწავლე.

— კეთილი, კეთილი, მითხრეს და იმან ერთმანეთს რაღაც ანიშნეს თვალით და გაიღიმეს...

— ხომ არ დამცინით, შევეკითხე უმრობით?

— არა, ბატონო, აი ეს, მიმითითა მეორე აფიცერზედ, ლაზია, მაგრამ ქართული არ იცის. თვალით მანიშნა არ მეთქვა თქვენთვის, რადგან სცხვენიან.

— რისა?!

— ქართული რომ დაივიწყა...

— თქვენ ნუ თუ მართლა სწუხართ რომ ქართული დაივიწყეთ? მიუბრუნდი მეორეს.

— დიახ, ბატონო, ვწუხვარ, რადგან ჩვენთვის ძვირფასია ენა, ქართული, მე კარგად ვადევნებ თვალყურს პარიზში, რომ ვცხოვრობდი თუ ჩემი ძმები ქართველები როგორ იცავენ ენას, და ახლა ტყვეთ ჩემ ყოფილ სამშობლოში მივდივარ და ჩემი ენა არ ვიცი...

და ერთხანს ღრმა ფიქრებმა გამიტაცეს...

— თქვენ, ძალიან უსამართლოთ ექცევით ჩვენ ტყვეებს. ნუ თუ ადამიანური გული აღარა გაქვთ. ომია მართალია, მაგრამ, როცა ან ტყვედ ჩაგივარდებათ, ან დაჭრილი, თურმე ჰხოცავთ. ეს კარგი არ არის.

— ამ სიტყვებმა საშინელი მღელვარება გამოიწვია მათში და თვალებში ცრემლი მოადგათ.

— ეჰ, არ გავიმართლებთ თავს, ან რა საჭიროა, ვინც რა უნდა თქვას... ღმერთმა მოჰკითხოს, ვინც უფრო მხეცურად ექცევა ან ტყვეებს, ან დაჭრილებს.

— ბოდიშს ვიხდი,—თქვენი წყენინება სრულიად არა მსურს და არც იმას ვცდილობ, რომ დაგცინოთ ან რაიმე უსიამოვნობა მოგაყენოთ... ჩემთვის ძალიან ძვირფასია ზოგი რამ გავიგო თქვენგან, როგორც გაზეთის თანამშრომელმა, რომ ვამცნო საზოგადოებას...

—თქვენ ჩემმა კითხვამ აგაღელვათ, შეგატყეთ და ღმერთზედ მიანდეთ მსაჯულობა... მაგრამ გავიწყდებათ რომ მთელი სომხეთი ამოხოცეთ, განა რა დანაშაული მიუძღოდათ!

— მაკვირვებს, ღმერთმანი, თქვენი საუბარი,

—აი, თვით რუსები გვეომებიან, უფრო სომხების გამო იღვრება სისხლი და ჰკითხეთ ამ მებრძოლთ სომხებისათვის რომელიც იარაღი გამხდარან „ბრძანებისა“ რა თვალით უყურებენ სომხებს... მათ ისეთი თვისება აქვთ, რომ ყველას მოისყიდიან და თავიანთ თავზედ ალაპარაკებენ... ვფიცავ დიდ ალახს, და დამერწმუნეთ ტყუილი არ გითხრათ, ეხლა ხომ რუსეთი მათთვის იბრძვის, ისევ ისინი ღალატობენ. ჩვენი ჯაშუშები სულ სომხები არიან, ჯერ გაიქცევიან რუსებთან, და რა თქმა უნდა სიამოვნებით იღებენ მათ, მერე ისევ ჩვენთან გადმოდიან და ყველაფერს გვატყობინებენ... ჩვენ დიდ პატივს ვცემთ რუსის სალდათს, რადგან რაც უნდა წამება მიაყენო, არას გეტყვიან... სომხები კი გვძულს ორპირობისათვის და ამიტომაც არ ვინდობთ...

— ვეჭვობ, რომ გამოქცეული სომხები კვლავ თქვენ დაგიბრუნდეთ...

— ენდეთ ჩემს პატიოსანს სიტყვას და ენას... აი, ბატონო, ჩვენ მზათა ვართ მთელი სომხები ფეშქაშათ მივართვათ რუსეთს, ოღონდ მოგვაშორონ, წაიყვანონ ჩვენგან და ვნახამთ ათი-ოცი წლის შემდეგ, რუსეთმა ისეთი დღე დააყენოს მათ როგორც ჩვენ და მაშინ ჩვენ შორიდან სეირს დაუწყებთ ყურებას.

**ომი და სომხები**

არ გეგონოთ, რომ აქ ნათქვამი ამბავი ჩემი ფანტაზიის ნაყოფი იყოს ან რაიმე ეროვნული შუღლი მალაპარაკებდეს. მოგითხრობთ ნამდვილ ამბავს, რომელსაც ჩემი თვალით ვხედავ და თვალყურს ვადევნებ... სომხებს, რომ ჰკითხოთ მთელი ომის ავანგარდნი ისინი არიან, მაგრამ დამერწმუნეთ დღევანდელ ომში მათ არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ, უმეტესი ნაწილი სომხობისა პოზიციებზედ საქონლის გადმოტანას აწარმოებენ. ხშირად შეხვდებით, რომ ორმოც-სამოცი კაცი საომრად გამზადებულნი სულ სომხები უკან ბრუნდებიან და როცა ვკითხამთ ან ქაღალდს ვნახამთ მათსას ასეა აღნიშნული: „უვარგისობის გამო ომისთვის ვგზავნით უკან, გთხოვთ ამათ მაგიერ სხვები გამოგზავნოთ და სხ.“ არ შეიძლება თუ რომელიმე პოლკი მიდის პოზიციებზედ უკან არ ჩამორჩნენ სომხები, რომელნიც აზრუმის მხრიდან ბაიბურთის მხარეს მოხვდებიან, ან იქიდან იქ, ვითომ ეძებენ პოლკს... ხშირად ასეთი დიაგნოზი უწერიათ დაჭრილთ „დაჭრილია ომის გარეშე“ ან „Искуство ожогъ“ ან „Симуліантъ“ და სხვა. არ ვიტყვი, რომ ამისთანები რუსები ან ქართველებიც არ იყვნენ მაგრამ ძალიან იშვიათი შემთხვევა.

მაგრამ შეეკითხეთ რომელიმე სამხედრო პირს და ის გეტყვით დანამდვილებით. რაც შეეხება ომის გათავებას და სროლის ჩაჩუმების შემდეგ, იგინი გმირები ხდებიან და რაც საუკეთესო რამეა ყიდულობენ თავიანთ გულუბრყვილო ამხანაგებისგან მუქთად, ზოგსაც თვითონ შოულობენ და ამ რიგად გაჩაღებულ ვაჭრობას ეწევიან.

ყველა კერძო მოვაჭრეც პოზიციებზედ სომხები არიან, რომელთაც სალდათები „წურბელებს“ უწოდებენ და მართლადაც წურბელასავით სწოვენ სისხლს ყველას. აქვე მოვიყვან რამდენიმე მაგალითს. ხელის უბრალო საპონი 80 კ. გირვანქა ჰალვა უბრალო 70 კაპ. ფოსტის ქაღალდი 3 კაპ. კონვერტი 3 კაპ. გირვანქა უბრალო კამფეტი 2 მ. 40 კ. სანთელი ერთი 1 მ. 20 კ. და სხ. აი ასე აცლიან ჯარის კაცთ უკანასკნელ კაპეიკს.

(შემდეგი იქნება)

ვ. ხ—შვილი.

## დაბა-სოფლები

**ფშავეთი**, გაზეთ „საქართველოს“ 112 ნომერში მოთავსებულია წერილი ფ. სხვიტორელისა. თავდაპირველად ავტორი წერილისა ეხება მახაროს კარის სოფლის სამმართველოს შენობას და ურჩევს ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას სკოლისათვის შეიძინოს ეს შენობა. შენობა, რომელშიაც მოთავსებულია დღეს სოფლის სამმართველო, წარმოადგენს ორ სართულიან კარეპანს (კარიდორს) სიგძე ამ შენობისა 14 არშინი სიგანე, 5 არშინი სიგრძეა. ქვემო სართული. არის მეტად დაბალი, ბნელი და ნესტიანი. ასეთივეა ზემო სართული იქამდის ბნელია ეს შენობა რომ სოფლის მწერალს ხშირად ღრუბლიან დღეში ლამფა უნთია. ძველი სკოლის შენობა კი, რომელიც დაიწვა 1907 წელს, კარგა მოზრდილია. ის შესდგება ერთი დიდი საკლასო ოთახისგან (7×12 არშინი), ორი მასწავლებლის ოთახისაგან თავისი სამზარეულოთი, ბავშვების თავშესაფარისაგან და კარეპანისაგან. ეს შენობა ჰიგიენის მხრივ უნაკლულოა. ამ შენობის კედლები კარგად არის შენახული. საჭიროა სახურავი, ჭერი და იატაკი. ის 1000 მანეთი რომელიც გადასდო ქრისტ. აღმად. საზოგადოებამ ამ შენობის გასაახლებლად, მშვენივრად შეაკეთებს ამ შენობს. ძველი სკოლის შენობას სხვა უფრო დიდი უპირატესობა აქვს. ის აშენებულია მშვენიერ ადგილას. სივრცე ამ ადგილისა—5 დღიურია. ეს ვეებერთელა ადგილი შემოფარგლულია მკვიდრი და ლამაზი ყორით. მეტად თვალწარმტაცია ამ შენობის არე-მარე. შენობას გარს არტყია სხვა და სხვა ჯიშის ხეხილი. იქვე არის სახნავ-სათიბი. ზედ აკრავს ტყე, რომლის გვერდით გაშენებულია „ბზიანა“, (ბზის ტყე). მეტად კარგს პირობებს წარმოადგენს ეს მამული სამეურნო განყოფილებისათვის უკეთესი პირობები შეუძლებელია. ეს ვეებერთელა მამული და ხეხილი ზომით ერთი დღიური დღეს უპატრონოდ არის დატოვებული. გამვლელ-გამომვლელი არას დაგიდევს და ხილთან ერთად ტოტებსაც ხლეჩავს.

განა უქკო იყო მასწავლებლად ნამყოფი ნიკო რაზიკაშვილი (ბაჩანა) ამ ბაღს რომ აშენებდა? იმას კარგად ესმოდა ამ სკოლისა და ადგილის მნიშვნელობა და თავის ძალ-ღონე სკოლასა და ბაღს შეალია. არაფერი დაუზოგავს, არც ფული და არც შრომა. ნამყენები თავის ფულით მოიტანა საგურამოდან. დაამყნო და სათუთად უვლიდა, როგორც მამა ღვიძლ შვილებს. პირველად ყველა დასცინოდა: „ვაი, როგორ ტყუილად შრომობს ჩვენი მასწავლებელიო, მაღარის კარი და ხეხილიო“?!—გაიძახოდენ გამვლელ-გამომვლელნი. მაგრამ შემდეგ როდესაც დარწმუნდნენ, რომ მასწავლებლის შრომამ მუქთათ არ ჩაიარა და ნაყოფი გამოიღო, თვითონაც დაიწყეს ხეხილის გაშენება. დღეს ისეთ მეკომურს ვერა ნახავთ, რომელსაც სახლის წინ ხეხილი არ ედგას. საჭიროა, რაც შეიძლება მალე განახლდეს ეს შენობა, რომ ეს მშვენიერი ბაღი არ ამოვარდეს და არ გაველანდეს.

რაც შეეხება სოფლის სამმართველოს შენობას ამასაც დღეს თუ არა, ხვალ მაინც რამე დანიშნულება მიეცემა: აქ მოთავსდება ან საფერშლო პუნქტი, რომლის ფარგლებში შევა არაგვის ხეობა ს. აქინვალიდან მოკიდებული ს. შუაფხომდე და ან კოოპერატიული დუქანი, რომლის დაარსებას თიდი ხანია საჭიროებს ეს ხეობა.

მაღაროს კარში ორი წელიწადია სწავლა სწარმოებს ადგილობრივ მღედლის სახლში. მოსწავლეთა რიცხვი 35 აღემატება. ამას ყველაფერს ჰხედავს სხიტორელიც მაგრამ ყველაფერს განგებ აბათილებს.

მაღაროსკარში მოიპოვებიან ისეთი პირები, რომლებსაც თვალი უჭირავთ სკოლის კარმიდამოზედ და ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ეს შენობა გაუქმდეს და ეს მშვენიერი ადგილი ხელში ჩაიგდონ. ამ მიზნით ავრცელებდენ და დღესაც ავრცელებენ ხალხში ხმას: „ხატი (თამარდედოფლის ნიში „ბზიანაში“) არ იხდენს სკოლასაო“. მასწავლებელს მოუკვდა შვილი—ხატს დააბრალეს, რომელიმე მოწაფე გახდა ავად—ხატს მიაწერეს. საბედნიეროდ, ბოროტ ენებთან ერთად, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სკოლის განახლებას და რომლებსაც ემხრობა ფ. სხვიტორელი, სკოლას მრავლადა ჰყავს მოკეთე ერი. თვითონ სამრევლო სკოლების მეთვალყურე მამა გრიგორი ჯინჭველაძე, ეს ერთად ერთი გულშემატკვარი სწავლა-აღზრდის—საქმისა ფშავ-ხევსურეთში, დიდი მომხრეა ძველი სკოლის შენობის განახლებისა. ამას კარგად ესმის ამ სკოლისა და მის მიდამოს მნიშვნელობა და მეცადინეობას არ აკლებს სკოლის განახლების საქმეს

მაღაროსკარის სამრევლო სკოლის გამგე მღვდელი

ალექსანდრე ციცაგი.

—

**ქიზიყი.** ყველას კარგად მოეხსენება, რომ წინად ჩვენებური მანდილოსნები ბევრს საქმეს ზურგს უქცევდნენ. ეს შეიძლება იმისთვის, რომ ოჯახის ბურჯები შინ ეგულებოდათ. მაგრამ როდესაც ასტყდა საერთაშორისო ომი და ჩვენი ოჯახის ბურჯები ცხრა მთას იქით საბრძოლველად გაიწვიეს, ყველა საქმეები მანდილოსნების ანაბარა დარჩა. ნათქვამია: როგორც გიჭირდეს, ისე გილირდესო. ჩვენებურმა მანდილოსნებმაც ბოსტან-ვენახებში იწყეს მუშაობა. ვენახების ფურჩქვნის და გოგირდის შეყრის დროს მანდილოსანს დღეში ორი-სამი მანეთი ჰქონდა.

საუბედუროდ, ამ ბოლო დროს ქურდ-ბაცაცების გუნდი ქიზიყსაც ესტუმრა და კარის-კარ დაიარებიან, შიშის ზარს სცემენ ისედაც შავი ძაძით შემოსილს ხალხს. ამას წინად ქურდ-ბაცაცებმა სოფელ ტიბაანის მეოჯახეებს შეუარეს, მაგრამ ვერას გახდნენ. გაბრაზებულები ერთს მეწისქვილეს შეუცვივდნენ. ფქვილის ტომრები ცარიელები დახვედროდათ, ხოლო მეწისქვილისათვის უკანასკნელი ფული თოთხმეტი შაური წაერთმიათ. საჭიროა ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ასეთ ვაჟბატონებს.

ქიზიყელებიც მისდევენ მეაბრეშუმეობას, მაგრამ მათი შრომა ვერა ფასდება. გაზეთებიდან ვიცით, რომ ქუთაისის გუბერნიაში ფუთი აბრეშუმის პარკი ფასობს სამ თუმან ნახევრად, აქ თხუთმეტ მანეთს ვერ ასცილებია. ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ქიზიყში ჩარჩები ბლომად მოიპოვებიან და როგორც ჰსურთ ისე ატრიალებენ სოფლის ბედს. სოფლის მოწინავე პირების ზნეობრივი მოვალეობაა რაიმე საშუალება იხმარონ და ჩვენი გლეხები ჩარჩების ბრჭყალებიდან გაანთავისუფლონ.

მეცხვარეობასაც დიდი ალაგი უჭირავს. ცხვარი უხვად იძლევა ყველს, მატყლს, ერბოს და სხვ., მაგრამ მათი ნაშრომ-ამაგით ჩარჩები ისქელებენ ჯიბეს. ან როგორ არ გაუსქელდებათ ჯიბეები, როდესაც უსწავლელ, უანგარიშო კაცთან აქვთ საქმე და წონაშიაც ბევრსა ჰპარავენ.

საჭიროა ქიზიყის სოფლებში დაარსდეს შესაფერი ბიუროები, რომლებსაც დახმარებას გაუწევენ ადგილობრივი კოოპერატივები და მათი საშუალებით გაყიდოს ხალხმა მაზანდის დაგვარად ყველი, მატყლი, ერბო, თამბაქო, აბრეშუმის პარკი და სხ.

ვ. ათანელიშვილი.

## წერილი რედ. მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის უახლოეს ნომერში ადგილი დაუთმოთ შემდეგს: ამას წინეთ ხარკ. ქართ. სათ. გამგეობა აცხადებდა ქართულ გაზეთებში სათვისტომოს გამგეობის (ამხ. ვ. ეგნატაშვილის) მისამართს, რომლითაც სათვისტომოს მოვალეებს უნდა გამოეგზავნათ ფული. ეხლა გამგეობა სათვისტომოს მოვალეების საყურადღებოთ აცხადებს, რომ ხსენებული მისამართით გამგეობა ფულს ველარ მიიღებს და სთხოვს მათ,—დღიდან წერილის დაბეჭდვისა, ფული შემდეგი მისამართით გამოგზავნონ: Харьковъ, Пассажъ до востребованія. Студенту Александру Чиракадзе.

ხარკ. სათვ. გამ. მდივანი და მოლარე

ალ. ჭირაქაძე.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**


**ამიერ-კავკასიის რკ. გზის**

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომის | სამგზ. № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. № 4, | 9.28 | საღ. |

ყარსისაკენ [illegible]

თელავისაკენ [illegible]

**თფილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | № 3, . 7 „ | 58 „ | საღ. |

საგალანტერიო მაღაზია

**ძრ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა**

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი: ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი

(101—წ.)

ქ. ბაქოში

**ღვინით ვაჭრობა „მელაანი“**

**თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.**

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები

(112—წ.)

საუკეთესო კახური

**ღვინის საწყობი**

ადამ ზურაბის ძის

**ბერელაშვილისა**

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.

(102—წ.)

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია

**„განათლება“-ში**

**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის კარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзэ.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

**ხილეული, მადნეული წყლის** მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და ხვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლალიძის** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლალიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია

**„ლალიძის წყალი“**




**მხოლოდ და მარტო ლალიძის** წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მახალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

**სუნი და გემოც საამური აქვს.**

წლ.

თევზის მრეწველნი

**ძმ. მეგრელოვები**

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „დ. მაილოვის-ძმით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მუშოხნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.